მარქსის სახ. საქ. სა[illegible] ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალიტერატურო გაზეთი

ფასი 40 კაპ.

1933 წ. 16 ივნისი | საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური გაზეთი | № 13 (39)

გავაძლიეროთ სალიტერატურო წრეების მუშაობა

ლიტერატურული მოძრაობა სწრაფი ტემპით ვითარდება, მასში განუწყვეტლად ებმება მუშათა და კოლმეურნე ახალგაზრდობის ახალ-ახალი ფენები. იქმნებიან სალიტ. წრეები, ქარხნებში და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში. იზრდება ინტერესი ლიტერატურისადმი, ხელოვნებისადმი, ამაზე ლაპარაკობს გარდა მასიურ ლიტერატურულ მოძრაობისა, გამოცემათა ტირაჟები, ლიტერატურული კრებები. თუ წინათ ხელოვნება ემსახურებოდა „მაღლა მდგომ ათასებს", გაშლილმა კულტურულმა რევოლიუციამ იგი გადააქცია ფართო მშრომელი მასის კუთვნილებად.

საბჭოთა ლიტერატურის განვითარების სასიცოცხლო ინტერესები, მოითხოვს მასიური ლიტერატურული მოძრაობის შესაფერ მასშტაბს. ჩვენი პარტია ყოველთვის გამოდიოდა იქედან, რომ მშრომელი ხალხის მასებში ჩამარხულია უდიდესი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, შემოქმედებითი ძალები, რომელთაც ახშობდა ექსპლოატაციური მონური წყობილება. რევოლიუციამ ფართო გზა გაუხსნა ამ ძალებს, მოძრაობაში მოიყვანა მშრომელთა მილიონები, გაამძაფრა მათი აზრი, ნება და გრძნობა, გამოყო მათი წრიდან სოციალისტური მშენებლობის ყოველ დარგში ასეული ათასი მებრძოლნი, ორგანიზატორები. მასიურმა ლიტერატურულმა მოძრაობამ წამოაყენა მთელი რიგი ისეთი მწერლებისა, რომლებიც ახლა საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე პოზიციებზე დგანან.

არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ხელმძღვანელობა მასიურ ლიტერატურულ მოძრაობაზე ჩვენს სინამდვილეში ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. მიუხედავად იმ უდიდესი სტიმულისა, რომელიც მოგვცა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 23 აპრილის დადგენილებამ მასიური ლიტერატურული მოძრაობის გაშლის ხაზით, სალიტერატურო ორგანიზაციების პრაქტიკა ამ დარგში ჯერ კიდევ მუშაობის კუსტარული მეთოდებით ხასიათდება.

სუსტად ხელმძღვანელობს ჩვენი მუშაობის ამ მეტად მნიშვნელოვან დარგს, როგორც საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მასიური სექტორი, ისე „სალიტერატურო გაზეთი". სწორედ სუსტი მუშაობით აიხსნება ის უარყოფითი ფაქტი, რომ ზოგიერთ წარმოებებში სალიტ. წრეები დაიშალა. იქ კი, სადაც ეს წრეები არსებობენ, მათ დიდ უმრავლესობაში, მუშაობა საგრძნობლად მოიკოჭლებს.

უნდა მივაღწიოთ დაუყოვნებლივ გარდატეხას მასიურ ლიტერატურული მოძრაობის ხელმძღვანელობის დარგში. ამისათვის აუცილებელია სალიტერატურო წრეების მუშაობაზე სისტემატიური, კონკრეტული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. ჩვენი საქმიანობის ეს სფერო უნდა წარმოვადგინოთ, როგორც შემოქმედებითი მუშაობის, მთელი ლიტერატურული ფრონტის ორგანიული, შემადგენელი ნაწილი. ახლა ყველა პირობები არსებობს იმისათვის, რომ მასიური ლიტერატურული მოძრაობა სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ; ჩვენი ორგანიზაციების ყურადღება უნდა მივმართოთ სალიტერატურო წრეების მუშაობის გამოცოცხლებისაკენ.

გადაუდებელი ამოცანაა ყოველ მხრივ შევისწავლოთ ქარხნებში და ფაბრიკებში არსებული სალიტ. წრეების მდგომარეობა, გამოვარკვიოთ მათი მუშაობის მტკივნეული მხარეები. შეუძლებელი იქნება სალიტ. წრეების მუშაობის გამოცოცხლება, თუ არ შევქმენით მათი განვითარებისათვის ნორმალური პირობები, შესაფერი ატმოსფერო. ამისათვის კი პირველ რიგში საჭიროა უზრუნველვყოთ სალიტერატურო წრეები ისეთი ხელმძღვანელებით, რომელთა მუშაობას წრეებში შემთხვევითი, ეპიზოდიური ხასიათი კი არ ექნება, არამედ გაუწევენ მათ ცოცხალ, ოპერატიულ ხელმძღვანელობას, იბრძოლებენ ლიტერატურული ახალგაზრდობის აღზრდისათვის.

ჩვენში ჯერ კიდევ სრულიად არ არის მოგვარებული წრეების ხელმძღვანელთა ხელფასის საკითხი. მთელ რიგ კლუბებში ადგილი აქვს დიდ უყურადღებობას ამ საკითხისადმი. საქ. პროფესიონალური კავშირების კულტგანყოფილებას თითქმის არაფერი გაუკეთებია ამ საკითხის მოსაგვარებლად. ამ ხაზით შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას კი ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოთ.

მეტად უარყოფითი მოვლენაა, როცა სალიტ. წრეებს დღემდე არა აქვს პროგრამები, მეთოდიური მითითებანი. ცხადია, ასეთ პირობებში შეუძლებელია სალიტ. წრეების მუშაობის ნორმალური განვითარება. იმისათვის, რომ კუსტარული მეთოდები ამ ხაზით აღვკვეთოთ, საჭიროა შევქმნათ სალიტერატურო კაბინეტი, რომელიც მეთოდიურ ხელმძღვანელობას გაუწევდა სალიტ. წრეების მუშაობას, მისცემდა წრეების ხელმძღვანელთ სათანადო მეთოდიურ ლიტერატურას. მეთოდიური მუშაობისათვის კვალიფიციური ძალები ჩვენ გვყავს, შეიძლება მათი ნაყოფიერი გამოყენება; საჭიროა მხოლოდ მეთოდიური ცენტრის შექმნა — ლიტერატურული კაბინეტის სახით. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ გამომცემლობებმა პროფესიონალურ კავშირებთან ერთად (სახელგამი, ფედერაცია, შრომა და ტექნიკა). მათ უნდა გაიღონ შესაფერი თანხა, რათა ლიტერატურული კაბინეტისათვის შევქმნათ მატერიალური ბაზა.

აქვე გვინდა დავაყენოთ საკითხი სალიტერატურო წრეების საქალაქო შეკრების შესახებ. ამ საქმეს ენერგიულად უნდა მოკიდოს ხელი კავშირის მასიურმა სექტორმა. ჩვენი პრესის ხაზითაც აუცილებელია, ცალკე სალიტ. წრეების მუშაობის სისტემატიური მიმოხილვების გაკეთება, სალიტერატურო წრეების მუშაკთა საუკეთესო ნაწარმოებების გამოქვეყნება და სხვ.

საქ. საბჭოთა მწერლების უკანასკნელ პრეზიდიუმმა განიხილა, საკითხი მასიური მუშაობის გაშლის შესახებ. მიღებული იქნა სრულიად რეალური გეგმა, რომლის განხორციელება უზრუნველყოფს სალიტ. წრეების მუშაობის გამოცოცხლებას.

საჭიროა ყველა ჩვენი ძალები დავრაზმოთ იმისათვის, რომ მასიური ლიტერატურულ მოძრაობაზე განვამტკიცოთ ხელმძღვანელობა; ამ მუშაობაში აქტიურად უნდა ჩავაბათ მთელი ჩვენი შემოქმედებითი აქტივი.

პირველ საკავშირო ყრილობისათვის გადაჭრით უნდა მოვსპოთ ის ჩამორჩენა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენი მუშაობის ამ უაღრესად საპასუხისმგებლო დარგში.

საბჭოთა დრამატურგების ოსტატობის გამოცდა

ჩვენ ვაქვეყნებთ დადგენილებებს საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებზე და კინოსცენარზე კონკურსის გამოცხადების შესახებ, რაც ცხადჰყოფს, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევენ ხელისუფლება და პარტია ხელოვნების ამ დარგებს.

საბჭოთა მწერლების სრ. საკავშირო მეორე პლენუმზე ამხ. ა. ვ. ლუნაჩარსკიმ, ამხ. ი. გრონსკიმ და კამათში გამოსულ მწერლების უმრავლესობამ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ლიტერატურის სხვა სახეებს შორის, ყველაზე სახალხო, ყველაზე ადრე და უფრო მისაწვდომი ფართო მასებისათვის — არის პიესა, რომლის მსმენელთა და მაყურებელთა რაოდენობა ასი ათასობით და ხშირად მილიონობით განიზომება. კიდევ უფრო მასიური ხასიათი აქვს კინოს. პიესის უდიდეს მნიშვნელობაზე გვაქვს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხ. **სტალინის** მეტად საგულისხმო მითითება. ამხ. მ. გრონსკის გადმოცემით, მწერლებთან საუბრის დროს ამხ. **სტალინმა** სთქვა: ლიტერატურის ყველა სახეებიდან პიესა წარმოადგენს ლიტერატურის მნიშვნელოვან და საჭირო სახეს, ხოლო დრამატურგია იყო, არის და ალბად დარჩება ლიტერატურის ყველაზე მაღალ, ურთულეს და უძნელეს დარგად.

სწორედ ამ გარემოებამ, რომ პიესა არის ყველაზე სახალხო, ყველაზე საჭირო სახე ლიტერატურისა, ხოლო დრამატურგია ურთულესი და უძნელესი დარგი მხატვრული შემოქმედებისა, განსაზღვრა დრამატურგიის წამყვანი როლი ხელოვნებაში. დრამატურგიის ამაღლება, აყვანა მაღალ საფეხურზე ნიშნავს მთელი ლიტერატურის ამაღლებას, მის წინ წაწევას. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დრამატურგია გამოცხადებულია ძირითად რგოლად.

არის მესამე მიზეზი, რომელიც გვაიძულებს ყურადღების გამახვილებას დრამატიულ ხელოვნებაზე: ეს არის დრამატურგიის ჩამორჩენა. — „თუ თვალს გადავავლებთ ლიტერატურის ისტორიას, — განაცხადა ამხ. გრონსკიმ იმავე პლენუმზე, — დავინახავთ, რომ ჩვენ გვაქვს უმდიდრესი ლიტერატურა, მაგრამ არ მოგვეპოვება ასეთი დრამატურგია", როცა ამხ. გრონსკი ამას ამბობდა, მხედველობაში ჰქონდა რუსეთის ლიტერატურის ისტორია; მით უმეტეს უფრო გაბედულად იგივე უნდა ითქვას დრამატურგიის ხვედრით წონაზე საქართველოს ლიტერატურის ისტორიაში. წარსულში ქართულმა მწერლობამ ვერ შექმნა საკუთარი ორიგინალური დრამატურგია. დრამატურგული მემკვიდრეობა ჩვენში რაოდენობით მცირეა და ნაკლები ხარისხის. მით უფრო, რომ ჩვენ ყველაზე მეტად გვჭირდება მთელი სამწერლო შემოქმედების მობილიზაცია ორიგინალური დრამატურგიის შესაქმნელად ახალი თანამედროვე თემატიკის საფუძველზე. რასაკვირველია, მდიდარი მაღალხარისხოვანი დრამატიული ლიტერატურა არ შეიქმნება მცირე დროის განმავლობაში, მაგრამ პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება მწერლობისადმი, კერძოდ დრამატურგიისადმი წარმოადგენს მტკიცე საწინდარს, რომ უახლოეს თვეებში ნაწილობრივ მაინც ამოივსება ეს ხარვეზი საქართველოს საბჭოთა ლიტერატურაში.

უდიდესი სოციალისტური მშენებლობა, მასების აქტიური მონაწილეობა უკლასო სოციალისტურ საზოგადოების შენებაში, მასების ენტუზიაზმი და თავდადება, გაშლილი სოციალისტური შეტევა ყველა ფრონტებზე — ყოველივე ეს იძლევა უხვ თემატიურ მასალას ლიტერატურული და დრამატიულ შემოქმედებისათვის.

როგორც საბჭ. დრამატურგიის, ისე კინოს მთავარი საბრძოლო ამოცანაა გვიჩვენოს მთელი თავისი მრავალსახეობით და მრავალფეროვნებით ჩვენი ქვეყნის სოციალისტურად გარდაქმნის მთელი პროცესი, რომ თეატრმა და კინომ დრამატიული ნაწარმოების და სცენარის შესატყვისი განსახიერებით გამსჭვალოს საბჭოთა მაყურებელი სოციალისტური სულისკვეთებით.

ახლანდელ ეტაპზე, მწერლობამ კერძოდ დრამატურგიისა და კინო-სცენარის შექმნის დარგში თავის შემოქმედებით მუშაობას საფუძვლად უნდა დაუდვას საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ამხ. სტალინის მიერ კლასობრივი ბრძოლის ანალიზი, რომელიც გვასწავლის, რომ **კლასობრივი ბრძოლის ხასიათი და ფორმები სოფლად შეიცვალა**. არა მარტო სოფლად, არამედ ყველგან — სოციალისტურ მშენებლობის ყველა რგოლებში კლასობრივი მტერი დღეს მოქმედობს ფარულად, ნიღაბ აფარებით. დრამატურგიამ თეატრისა და კინოს საშუალებით მტერს უნდა ჩამოხსნას ეს ნიღაბი, დაგვანახოს მტერი კოლმეურნეობის შიგნით, მხატვრულ სახეებში გახსნას კოლმეურნეების ინდივიდუალურ მესაკუთრულ ბუნების და ფსიხიკის გარდაქმნის პროცესი, გვიჩვენოს მათი ახალი დამოკიდებულება კოლექტიურ შრომისადმი, გვიჩვენოს წინააღმდეგობანი ინდივიდუალურ ყოფისა და განსაზოგადოებულ წარმოების შორის, მაგრამ ეს არ უნდა იყოს უბრალო აღწერა, მიმდინარე ცხოვრების კონკრეტულ ფაქტების რეგისტრაცია, არამედ იმის მხატვრული წარმოსახვა, თუ საითკენ მიდის ამ ფაქტების განვითარება. მხოლოდ ამ პირობის დაცვით დრამატურგია თავს დააღწევს მოვლენების უკან ჩანჩალს, გახდება სოციალისტური მშენებლობის სიძნელეების სიგნალიზატორი და პარტიის დამხმარე ძალა, მასების ნამდვილი ორგანიზატორი.

მიმდინარე პროცესების მხატვრულ სახეებში გაშლისათვის აუცილებელია ამ პროცესების მარქსისტულ - ლენინური გაგება, მაღალ დრამატიული ხერხების ათვისება.

საქართველოს საბჭოთა დრამატურგია, საერთოდ კინო დრამატურგია კერძოდ, უნდა გაცდეს თავის განვითარების დაწყებითი პერიოდს. მან თავი უნდა დააღწიოს აბსტრაქტულ სქემატიურ მიდგომას მოვლენებისა და ადამიანებისადმი; უფრო მეტი დაკვირვებით და გულისყურით ჩაწვდეს ამ უკანასკნელთა სულისკვეთებას, ჩაწვდეს მათ განცდებს, მოგვცეს ცხოვრების ცოცხალი განსახიერება და არა შიშველი იდეები; მოგვცეს ტიპები არა სქემატიურად, არამედ მთელი თავისი ბუნებით და განცდებით.

დრამატურგია ვერ შექმნის, ვერ მოგვცემს ჩვენი დროის ცოცხალ ადამიანებს, თუ მის ყურადღების ცენტრში არ მოექცევა სოციალისტური საწარმოებისა და ყანების დამკვრელი, ადამიანი — მშენებელი, რომელიც იბრძვის გეგმების შესრულებისათვის, ახალი ტეხნიკის ათვისებისათვის, ყოველი ჯურის შინაური და გარეშე მტრისაგან პროლეტარული დიქტატურის თავდაცვისათვის.

ამის გარეშე საბჭოთა დრამატურგია ვერ შექმნის „ჩვენი ეპოქის ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ მდგომარეობაში". ეს ამ თავითვე უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა დრამატურგებმა და კინო-სცენარისტებმა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ გამოცხადებულ კონკურსში, კონკურსში, რომელიც იქნება მათი იდეურობის და დრამატიული ოსტატობის გამოცდა.

ვ. წ—ძე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

კინო-სურათისათვის საუკეთესო სცენარებისა, ლიბრეტოსა და [illegible]ზე კონკურსის გამოცხადების შესახებ

ვინაიდან მშრომელთა ფართო მასების კულტურულ-პოლიტიკური განვითარებისათვის კინოს უაღრესი მნიშვ. აქვს, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, კინო-ფილმის მხატვრული ღირსების ამაღლების მიზნით, ადგენს:

1. გამოცხადებულ იქნეს კონკურსი კინო სურათისათვის საუკეთესო სცენარებზე, ლიბრეტოზე და თემა-სიუჟეტზე.

2. კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოები უნდა ეხებოდეს შემდეგ პრობლემებს:

ა) ახალი ადამიანი სოციალისტურ წარმოებაში (შრომის გმირი, მუშა-დამკვრელი, შრომის ახალი სოციალისტური ფორმები);

ბ) საბჭოთა კავშირის დაცვა და მუშათა და გლეხთა არმია (ეროვნული ნაწილების ხასიათის მიხედვით);

გ) საქართველოს ტეხნიკური და ჰუმანიტარული ინტელიგენცია სოციალისტური მშენებლობის სამსახურში;

დ) მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზრდა (ჟანრი, დრამა, კომედია, სატირა-[illegible] ავტორის არჩევით).

5. კონკურსზე წარმოდგენილ საუკეთესო ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად დაწესებულ იქნეს შემდეგი პრემიები:

ა) სცენარებისათვის—ერთი პრემია 6.000 მან. რაოდენობით (პირველი პრემია), შემდეგ—[illegible] მან. რაოდენობით (მეორე პრემია) და 2.000 მან. (მესამე პრემია);

ბ) ლიბრეტოსათვის—ერთი პრემია 3000 მან. რაოდენობით (პირველი პრემია), შემდეგ—1.000 მან. რაოდენობით (მეორე პრემია) და 500 მან. რაოდენობით (მესამე პრემია);

გ) თემა-სიუჟეტისათვის 1.500 მან. რაოდენობით (პირველი პრემია); შემდეგ—1000 მ. რაოდენობით (მეორე პრემია).

დაჯილდოებული ნაწარმოების ავტორი, პრემიის გარდა, მიიღებს დაჯილდოებულ ნაწარმოებისათვის აგრეთვე საავტორო ჰონორარს მაქსიმალური განაკვეთით.

4. ნაწარმოებთა კონკურსზე წარდგენის ვადად დაინიშნოს 1933 წლ. სექტემბრის 1-ლი.

5. კონკურსზე წარდგენილ ნაწარმოებთა განსახილველად და პრემიების გასანაწილებლად შედგეს ჟიური შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე ამხ. ბედია და წევრები: ამხ. **თითბერიძე, დუდუჩავა, მგალობლიშვილი**, (მდივანი), **პ. საყვარელიძე, ა. ესაკია, პოლოსოვი, თანიაშვილი, ბუნიატოვა, თათარიშვილი** და **ჭიაურელი**.

6. წინადადება მიეცეს განათლების სახალხო კომისარიატს—გამოსცეს სამი დღის ვადაში „სახკინმრეწვთან" შეთანხმებით, ინსტრუქცია კონკურსის ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ჟოჟიკაშვილი.

საქართველოს სსრ სახ კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი რ. შო[illegible].

1933 წლ. მაისის 27.

თბილისი.

ინსტრუქცია

საუკეთესო დრამატიულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსის ჩამტარებელ რესპუბლიკანურ ჟიურისა

1 კონკურსში მონაწილე ავტორებს შეუძლიათ წარმოადგინონ პიესები, როგორც ქართულ ენაზე, აგრეთვე ა.-კ. ხალხთა ყველა ენებზე.

2. პიესის თემა შეიძლება აღებულ იქნეს ავტორის არჩევით, როგორც საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის, აგრეთვე კაპიტალისტურ ქვეყნების ცხოვრებიდან. პიესის ჟანრის არჩევანი თავისუფალია (დრამა, ტრაგედია და სხვ.).

3. პიესები შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც პროფესიონალურ, მოზარდ მაყურებელთა და თვითმოქმედ თეატრებისათვის, აგრეთვე რაიონისა და სასოფლო კლუბებისათვის.

4. კონკურსზე უნდა წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ ისეთი პიესები, რომელიც დაიწერა კონკურსის გამოცხადების შემდეგ და არსად არ ყოფილა შესრულებული ან დაბეჭდილი.

5. პიესების წარმოდგენილი უნდა იქნეს 2 ცალად მანქანაზე გადაბეჭდილი, ან სუფთა და გარკვეული ხელნაწერის სახით ავტორის სათანადო დევიზით, რომელიც თან დართული უნდა ჰქონდეს დახურულ პაკეტში.

6. პიესების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად დაწესდეს 1933 წლის 10 ნოემბერი.

7. პიესები წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პრ., 31, განსახკომი, ხელ. სექტორი.

ჟიურის თავმჯდომარე კ. ორაგველიძე.

პ.-მგ. მდივანი ვ. ბოკუჩავა.

საბჭოთა მწერლების კავშირში

9 ივნისს, ამხ. **მ. ტოროშელიძის** თავმჯდომარეობით შესდგა საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის სხდომა, რომელზედაც დადგენილი იქნა:

დრამსექციის ბიურო

მწერალთა კავშირთან არსებულ დრამსექციის ბიუროში არჩეული იქნენ ამხ. **პ. სამსონიძე** (პასუხისმგებელი მდივანი), **შალვა დადიანი** და **გ. ბააზოვი**. კანდიდატად ამხ. **დარბინიანი**.

სამხედრო ლიტკომისიების თათბირი

საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ამ თვის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება მწერალთა ორგანიზაციებთან არსებულ სამხედრო ლიტკომისიების რესპუბლიკანური თათბირი.

მწერლების მივლინება

„იზვესტია"-ს გამომცემლობამ იკისრა ქართველ მწერლების საბჭოთა კავშირის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში 10 ქართველი მწერლის თავის ხარჯით მივლინება. პრეზიდიუმმა დაადგინა დაჩქარებით გამოარკვიოს მწერალთა მივლინების ვადა და პირობები და შეარჩიოს გასაგზავნთა სია.

სამხრეთ - ოსეთის კულტურული დეკადა

11 ივნისიდან თბილისში დაიწყო სამხრეთ-ოსეთის კულტურული დეკადა. საბჭოთა მწერლების კავშირმა გადასწყვიტა აქტიური მონაწილეობა მიიღოს აღნიშნულ დეკადის წარმატებით ჩასატარებლად. სამხრეთ-ოსეთში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობის ფრონტზე მოპოვებულ მიღწევების შესასწავლად და ოსი-მწერლების შემოქმედების ნამუშევრების გადმოსათარგმნად 1-ლ ივნისს ოსეთში გაიგზავნა მწერალთა საგანგებო ბრიგადა. ბრიგადაში შედიოდნენ: ამხ. **ტიციან ტაბიძე** (ბრიგადის ხელმძღვანელი), **კონ. ლორთქიფანიძე, ბ. ჩხეიძე, კ. კალაძე** და **დ. კასრაძე**, ბრიგადა უკვე დაბრუნდა.

ამ დღეებში მწერალთა სასახლეში გაიმართება რამდენიმე სპეციალური საღამო აღნიშნულ ბრიგადის წევრთა და ოსეთიდან მოწვეულ ოსი მწერლების მონაწილეობით. 16 ივნისს მწერალთა კლუბში საქ. განათლების სახ. კომისარი ამხ. **ე. ბედია** წაიკითხავს მოხსენებას დეკადის მნიშვნელობისა და სამხრეთ-ოსეთში სამეურნეო-კულტურულ მშენებლობის შესახებ. ხსენებულ ბრიგადის მასალები სამხრეთ-ოსეთზე გამოვა ცალკე წიგნათ.

წითელი არმია და მხატვრები

დიდი მნიშვნელობის გამოფენა

ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის თავზე საბჭოთა საქართველოს მხატვართა კავშირი მეტ შეგნებას და გაბედულებას იჩენს თანამედროვეობის ათვისებაში და ამის დასტურად აწყობს გამოფენას.

ეს გამოფენა ჩვეულებრივი გამოფენა არ არის. იგი მიძღვნილია წითელი არმიისადმი.

წითელი არმია,—ძალიან დიდი თემაა და ამ გამოფენით გამოწვეული განსაკუთრებული ინტერესიც სწორედ ამით აიხსნება.

თუ კაპიტალისტური ქვეყნების არმიები შექმნილია მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვას ექსპლოატატორთა ინტერესები, აწარმოოს კოლონიალური ომები, მუდამ მზად იყოს სხვისი ტერიტორიის დასაპყრობად, წითელი არმია მხოლოდ საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებისა და მშვიდობიან მშენებლობის დაცვისათვის არის მოწოდებული. ნაციონალური და კოლონიალური ომები სრულიად უცხოა წითელი არმიისათვის. წითელი არმია უშუალო მონაწილეა სოციალისტური მშენებლობის. ამავე დროს მზათ არის დაიცვას თავისი წარმომშობის კლასის, მუშათა კლასის, მონაპოვარი და ინტერესები.

თუ პირველი არმია არის დამცემი და წამგლეჯი—მეორე არის თავის ქვეყნის და კლასის დამცველი.

კაპიტალისტების მთავარი მიზანია თავისი არმიიდან გამოიყვანონ კარგი სალდათი ე. ი. მონა მორჩილი მტაცებელი, ზნეობრივად თავაშვებული და ეგოისტური მოქალაქე, რომელმაც იცის მხოლოდ ერთი,—იარაღის ხმარება. ცხოვრებისათვის იგი გამოუსადეგარი ხდება: წითელი ყაზარმა კი ძალიან შორსაა სალდათის შექმნისაგან. წითელი ყაზარმის მთავარი მიზანია, პოლიტიკურად გაწვრთნას, კულტურულად აღზარდოს და მისცეს უკვე მომზადებული მოქალაქე სოციალიზმის მშენებელ კლასს.

რაც ვთქვით ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გავიგოთ როგორ შესძლეს ჩვენმა მხატვრებმა ამ ძირითადი განსხვავების გაგება და როგორ ასახეს თავის შემოქმედებაში. ამ მხრივ დიდი ნაბიჯია გადადგმული წინ. თუმცა ბევრი მხატვარი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულა წითელი არმიელის და „სალდათი"-ს გაიგივებისაგან.

პირველად ჩვენ შევეხებით ამ გამოფენის თემატიურ და იდეოლოგიურ მხარეს და შემდეგ იმას, თუ რამდენად ოსტატურად და სრული ტექნიკით არის დამუშავებული ეს თემები.

გამოფენილია სულ 65 სურათი ამ სურათების სიმრავლესთან ერთად საგულისხმოა ისიც, რომ ახალგაზრდობასთან ერთად (ზოგი დებიუტანტია) უკვე ცნობილი, ძველი თაობის მხატვრებიც მონაწილეობენ.

თემატიურად გამოფენა თუმცა მრავალფეროვანია, მაგრამ წითელი არმიის ცხოვრება მთლიანად მაინც ვერ არის მოცემული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამოფენაზე არ სჩანს სამოქალაქო ომების პერიოდი, დავიწყებულია წითელი არმიის კავშირი მუშათა კლასთან ცოტა რამ არის თქმული გლეხობასთან კავშირის და წითელი არმიის შინაურ ცხოვრების შესახებ და გადაჭარბებით არის მოცემული პორტრეტული სახეობა და იდეოლოგიურად გაუმართლებელი სხვადასხვა ბრძოლების მომენტები.

ზოგიერთ მხატვარს თემისათვის მიუგნია და აქა-იქ მოსჩანს ასეთი სურათები: „წითელ არმიელთა ბრიგადა ქარხანაში" (**ალდადანოვა ნ.**). „სტუმრად წითელ არმიელებთან" (**გძელიშვილი კ.**), „პოლიტ.-მეცადინეობა საარტილერიო ბანაკში" (**კოპალიანი ალ.**), „სამკითხველოში" (**კროტკოვი ვ.**), „მესანგრეთა წითელ არმიელებს სვანეთის გზა გაჰყავთ" (**მახარობლიძე**), „წითელარმიელები ჩაის კოლმეურნეობაში" (**სანაძე კორ.**), „წითელ არმიელები კოლმეურნეობაში" (**სიდამონ-ერისთავი**), „არმიელების წითელი კუთხე" (**თოიძე მ.**), „წითელ არმიელები ეხმარებიან კოლმეურნეებს" (**შარპილოკია**), „შევბული წითელ არმიელები სოფლად" (**ჯაში გ.**). მაგრამ, მიუხედავად თემატიური სისწორისა, შესრულების მხრივ თითქმის არც ერთ აქ ჩამოთვლილი სურათი არ არის დამაკმაყოფილებელი. ყველას ემჩნევა ნაჩქარევი ხელი, დაუმუშავებელი კომპოზიცია და ფერების პრიმიტიულობა, გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სიდამონ ერისთავის „წითელ არმიელები კოლმეურნეობაში". სურათი ყოველმხრივ მოფიქრებულია და იძლევა სწორ შთაბეჭდილებას აღებულ თემის გადმოცემაში. შესრულების მხრივ აქაც ზოგი რამ სადავოა (მაგ. დეკორატიული ფონი, წინა-პლანის გაუბრალოებული ფერადობა), მაგრამ გარკვეული სკოლის მატარებელი მაინც სჩანს.

არის სურათები თემატიურად სწორი, მაგრამ შესრულების მხრივ სრულიად მიუღებელი.

ეს განსაკუთრებით ითქმის ისეთ მუყაით მხატვარზე როგორიც ალ. სემიონოვია. ის სცდილობს შექმნას წითელი არმიის მეთაურთა პორტრეტები წითელი არმიის ფონზე, მაგრამ მეთაურების ნამდვილ პორტრეტებს ვერ იძლევა. მეთაურთა სახეები მოცემულია გაშეშებულ „სალდათების" (ვითომ წითელარმიელების) ფონზე.

როგორც ვთქვით გამოფენაზე მონაწილეობენ აგრეთვე უკვე ცნობილი მხატვრებიც. მაგრამ ისინი ვერ არიან სათანადოთ წარმოდგენილნი. ამ მხრივ დამახასიათებელია **მ. თოიძის** მხატვრობა. მისი „კავშირგაბმულობა მთაში მანევრების დროს" არაფერს არ აძლევს მაყურებელს წ. არმ. ცხოვრებიდან და სურათი დიდათ მოიგებდა ტილოზე, რომ მარტო მთის პეიზაჟი დარჩენილიყოს. ამავე მხატვრის მეორე დიდი ტილო „წითელი არმია მამისონის უღელტეხილზე" კიდევ მეტ გაუგებრობას წარმოადგენს. აქ წითელი არმია მოცემულია ცნობილი ვერეშჩაგინის თვალით და მაყურებელში შთაბეჭდილება რჩება „შაპკამი ზაკიდაემ"-ის. ამასთანავე სურათი არც თუ გეოგრაფიულად და ეტნოგრაფიულად არის სწორი. მამისონის გადმოსასვლელში არის სოფელი ღერშევი და გლოვლა, მაგრამ იქ არ არიან ასეთი ოპერული დედაკაცები და მით უმეტეს იქ ღვინოს ჯამებით არ აუწვდიან საყვარელ სტუმრებს.

ვერც **კროტკოვი** იჩენს იდეოლოგიურ სიმტკიცეს და მის „მამისონის უღელტეხილზე" უფრო „სუვოროვის კარპატებზე გადასვლა"-ს მიბაძვაა, ვიდრე წითელი არმიის მიზნობრივი დანიშნულების გეგმა. ლანსერეს „პარტიზანები დაღესტანში" თუმცა ტეხნიკურად კარგათაა გაკეთებული, მაგრამ სურათი მოგვაგონებს „შამილის ეპოქას" და არა დაღესტანის პარტიზანებს.

თუ ახალგაზრდათა შემოქმედება მხატვრული ოსტატობით დაბალ დონეზე დგას, ვერც თუ გამოცდილი და დახელოვნებული ოსტატები იძლევიან მხატვრულად დამაკმაყოფილებელ სურათებს. საქმე იმაშია, რომ ვერც ერთი მხატვრული შემოქმედება ვერ გამართლდება თუ ის არ არის დამუშავებული გარკვეული წესით.

გამოფენილი სურათების უმრავლესობა თითქოს ერთი რეალისტური მეთოდით არის დამუშავებული, თუმცა ეს „რეალიზმი" ახალგაზრდათა შემოქმედებაში ხან პრიმიტივში გადადის და ხან მოდერნიზმში. ვერც ძველი ოსტატები იცავენ რეალიზმის მთავარ თვისებებს (სწორი: ანატომია, პერსპექტივა, ჩრდილსინათლის განაწილება) და მათი დიდი ტილოები (განსაკუთრებით მ. თოიძის) უფრო დეკორატიული შეფერადებაა, ვიდრე ყოფილი მილიმეტრის მხატვრული ფერით ამოვსება.

ამით შეიძლებოდა სიტყვის დასრულება ამ მნიშვნელოვანი გამოფენის ირგვლივ, რომ იქ არ მონაწილეობდეს ორი თავისებური მხატვარი: პრ. **ლადო გუდიაშვილი** და **ლემანჟავა** ლ. ლ. გუდიაშვილის „საგუშაგოზე" მართალია მხოლოდ ესკიზია მომავალი სურათისათვის, მაგრამ მნიშვნელოვანია იმით, რომ მხატვარი თავის თავს არ ღალატობს, უკვე გამომუშავებულ ოსტატობას აგუებს სრულიად ახალ თემატიკას, რაც მხატვრის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

განსაკუთრებულ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ლემანჟავას „რევოლიუციონერის დასჯა" და „1917 წელი". როგორც ერთი ისე მეორე სურათი თავისებურია ყოველ მხრივ. მხატვარი მეტად ლაკონიური ხაზებით აღწევს განცდის გადმოცემას. სურათს ამახვილებს სოციალური შინაარსით, კლასიურ წინააღმდეგობათა კუთხიდან თავისებური განცდებით და გადმოცემათა საშუალებებით იგი უახლოვდება გ. გროსს. ვფიქრობთ დიდათ მოიგებს მხატვარი თუ აღებულ გზით განაგრძობს მუშაობას.

ამრიგად, წითელი არმიისადმი მიძღვნილმა სურათების გამოფენამ ჩვენ გვიჩვენა, რომ საბჭოთა მხატვრებში ერთი მხრივ მომხდარა დიდი იდეოლოგიური წინსვლელობა, მაგრამ ჩამორჩენილია ტექნიკური ოსტატობის დონე. მომავალ გამოფენისათვის ალბათ მეტ ყურადღებას მიაქცევენ საბჭოთა საქართველოს მხატვრები როგორც პროდუქციის სურათის იდეურ სიმტკიცეს, ისე მის მხატვრულ დამუშავებას.

ბ. გორდეზიანი.

რევოლუციონურ თვითმოქმედ თეატრების საერთაშორისო ოლიმპიადა

მაისის დამლევს მოსკოვში დამთავრდა რევოლუციონურ თვითმოქმედ თეატრების საერთაშორისო ოლიმპიადა. ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო თექვსმეტმა ქვეყანამ. თვითმოქმედ თეატრების საერთაშორისო დათვალიერებას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც მიმდინარეობდა შემდეგი ლოზუნგებით: „დავიცვათ საბჭოთა კავშირი და ჩინეთის საბჭოთა რაიონები", „შევქმნათ რევოლუციონური თეატრალური მოძრაობის ერთიანი ფრონტი".

სასტიკ ტერორმა იაპონიასა, გერმანიასა და ჩეხო-სლოვაკიაში ხელი შეუშალა ზოგიერთ საუკეთესო კოლექტივს ჩამოსულიყო საბჭოთა კავშირში და მონაწილეობა მიეღო ოლიმპიადაში. ზოგიერთი მათგანი დაშალეს, ზოგიერთი კიდევ იატაკ ქვეშ ჩარეკეს. მაგრამ ვერც სპექტაკლების აკრძალვამ, ვერც მსახიობთა და ხელმძღვანელთა დაპატიმრებამ და ვერც თეატრალურ ინვენტარის კონფისკაციამ ვერ დააბრკოლა საზღვარგარეთელ თვითმოქმედ კოლექტივების უმრავლესობის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. ისინი გამოემგზავრენ სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში მტკიცედ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირის თვითმოქმედი და პროფესიულ თეატრებთან შეხვედრა, ურთიერთ გაცნობა, პროლეტარიატის დიქტატურის ხელოვნების განვითარების გზების შესწავლა შეაიარაღებს მათ შემდგომი ბრძოლებისა და გამარჯვებისათვის.

დღეში ორჯერ დილით და საღამოთ მოსკოვის „მუზიკ ხოლში" გამოდიოდენ კოლექტივები თავისი მრავალფეროვანი სპექტაკლებით. ინგლისურ თვითმოქმედ ბრიგადას, ფრანგულ თვითმოქმედ ჯგუფებს „ბობინის" და „ოქტომბერს", პოლანდიურ ლურჯხალათიანებს, გერმანულ, ნორვეგიულ, დანიურ, ჩეხურ, ბელგიურ, მონღოლურ თვითმოქმედ ჯგუფებს „მუზიკ ხოლის" სცენაზე სცვლიდენ საბჭოთა კოლექტივები — მოსკოველი, ლენინგრადელი, უკრაინელი, აზერბეიჯანელი თვითმოქმედი თეატრები. თვითეულ გამოსვლას თან სდევდა მისი მუშაობის ბოლშევიკური შეფასება. ჯგუფები ერთმანეთს უკავშირდებოდენ ხელშეკრულებებით სოცშეჯიბრებისა და ურთიერთ გამოცდილების გაზიარების შესახებ.

ოლიმპიადა დამთავრდა ინტერნაციონალური შემოქმედებითი კონფერენციით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო რევოლუციონური ფრონტის საუკეთესო ძალებმა — ე. პისკატორმა, გ. ვან-გეიმმა, ლ. მუსინაკმა და სხვებმა.

მხურვალე სალამი სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლებს

კოსტა ხეთაგური

უმემკვიდრეოდ

ოსეთი ნორჩო შავარდენო! თქვენსა სიხარულს
ვმოსავ კაეშნით, რომ თქვენგანა გზას ვიჭერ შორსა,
ამაოდ ჰგოდებთ, ნუ ჰღვრით ესოდენ ცრემლთა ღვართქაფ რუს,
უმემკვიდრეოდ ვაფრიალებ სიკვდილის დროშას.
სულ — უცხო ხალხი უცხო ქვეყნის ჰხაპავდა ჩემს სისხლს,
ჰუჰუიან ქუსლით მითელავდა სპეტაკ სახელსა,
და აჰა, ვუმზერ თავს წამომდგარ საზარელ სიკვდილს,
მაგრამ ჯერ ვერ ვჭვრეტ, ვინ მომაწვდის სასთუმლად ხელსა.
რომელი ქალი დამიტირებს სისხამ დილაზე,
ვისი ცრემლები გაადნობს კლდეს და მისსა მარმაშს?
ვისი ჩონგური აკვნესდება დედის ერ თაზე?
ვინ გამოაფრენს ჩემს გამართულ დოლში ფრთოსან რაშს?!
ოსეთის ნორჩო შავარდნებო! თქვენსა სიხარულს
ვმოსავ კაეშნით, რომ თქვენგანა გზას ვიჭერ შორსა,
ამაოდ ჰგოდებთ, ნუ ჰღვრით ესდენ ცრემლთა ღვართქაფ რუს,
უმემკვიდრეოდ ვაფრიალებ სიკვდილის დროშას.

ყოროთი ყაზბეგ

ოსეთის ქალებს

შავი ღრუბლების ჩრდილით
თვალი არ გებურება;
ბაგე ახდილს შეფრქვევით
გეტრფის თავისუფლება.
თუ ოდესღაც ბნელს იჯექ
უუფლებოდ მკვნესარე,
დღეს განთიადს შეჰხარი,
მზე გინათებს მგზნებარე.
მიკუნჭულსა კარებთან
ღმერთი არ გაგონდება,
ათას წლობით მონობით
გული არ გიღონდება.
უკვე მიხვდი, იგემე
მუშაობის ბარაქა,
წითელ დროშას შეჰხარი
ხელში ათას გვარათა.
დიდ საქმეებს კისრულობ,
არ თუ შეშინებული,
არა ჰზოგავ ძალ-ღონეს
წინად შეგინებული.
ეხლა ლაღად იმზერი,
ლოყა ცეცხლით გეგზნება,
სხივი ახალ ცხოვრების
თავზე რკალად გევლება.
შავი ღრუბლების ჩრდილით
თვალი არ გებურება;
ბაგე ახდილს შეფრქვევით
გეტრფის თავისუფლება...

ხარიტონ პლითი

თვალცისკროვანი არმიელი

ეს ცხოვრება ღელავდა
შფოთითა და ომითა.
ციხე-ტყიდან გვესმოდა
მტერი რიცხვა-გომბითა.
მაგრამ წითელ არმიელს
თვალებ აცისკრებულსა,
განა მცხრალს ვინ ნახავდა,
ანუ გაციებულსა?
ირგვლივ მტერს აღვრევინა
მჩქეფრი სისხლის ღვარები,
გუთნეულით შეჰგლიჯა
მათი ციხის კარები.
წითელ დროშით დღეს ამბობს
მთებსა, ღრუბელთ სადგურებს,
ჩვენი კავშირის მტრებსა
მოსპობს, გაანადგურებს.
თუ არ მოისვენებენ,
კარზე მოგვადგებიან,
რაზმი რაზმზე არწივის
ფრთებით აფრინდებიან.
საბჭოების საზღვრებზე
ვინ სძლევს წითელ არმიელს?
ახალ ტეხნიკის ძალით
ფეხს ვის მოადგმევინებს?
ხელმძღვანელობს პარტია
ფოლადივით ნაწრთობი,
ხაზი არ გამრუდდება
მისგან გადმონაწოდი.

ლექსების თაგმანი ოსურიდან ეკუთვნის დ. კასრაძეს.

სამხრეთ-ოსეთის მხატვრული ლიტერატურა

ოსური მხატვრული მწერლობის დასაწყისს ჩვეულებრივ უკავშირებენ რევოლუციონური პერიოდის დიდ პოეტის სახელს—კოსტა ხეთაგურის სახელს (1865-18 წ.), მაგრამ ეს არ არის სწორი. მართალია ქ. ხეთაგურის ნაწარმოები პირველად დაიბეჭდა, მაგრამ ოსეთის მხატვრული ლიტერატურის საფუძვლის დამდებად უნდა ჩაითვალოს ხეთაგურის წინამორბედი—პოეტი **ტემირბოლატ მანსური** (1843-1899 წ.), რომელიც გაექცა მეფის თვითმპყრობელობას და სამიათას მთიელ ოჯახთან ერთად შეეხიზნა თურქეთს (1865 წელს). ლიტერატურის ასპარეზზე მანსურის მოჰყვენ დრამატურგი ე. ბრიტაევი, პოეტი ა. ყუბალოვი, ს. გადიევი, რ. კომოევი, პ. გადიევი (პოეტი დრამატურგი). ამ მწერალთა შემოქმედება წარმოადგენს რევოლუციის წინადროინდელ ლიტერატურულ მემკვიდრეობას სამხრეთ-ოსეთის მწერლობაში.

ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება მისი სწორი მარქსისტული კრიტიკული ანალიზი.

პირველი ოსი მწერლის **ტემირბოლატ** მანსურის შემოქმედება მთლიანად გამსჭვალულია მისი ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსით. თვითმპყრობელობის იმპერიალისტური პოლიტიკით შევიწროებულმა, მეფის სატრაპების უღლის ქვეშ მოქცეულმა კავკასიელმა მთიელებმა მასიურად იწყეს თურქეთში გადასახლება, გაიხიზნენ აგრეთვე ოსებიც, რომელთა მიწებს მეფის მთავრობამ კონფისკაცია უყო ყაზახების დასასახლებლად. მანსურმა თავის მხატვრულ ნაწარმოებში ასახა დამარცხებულთა მძიმე მდგომარეობა.

გულის გამგმირი მწუხარება, სასოწარკვეთილი უიმედობა, გამოსჭვივის მანსურის ისეთი ნაწარმოებიდან, როგორიც არის მისი „ორი ამხანაგი“, „ნანა“, „ფიქრები“ და სხვა. მანსურის შემოქმედებას ახასიათებს უიმედო გოდება და სასოწარკვეთილება.

სულ სხვა ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რევოლუციის წინადროინდელ მწერლებიდან ყველაზე ნიჭიერი და სახელგანთქმული მწერალი **კოსტა ხეთაგური.**

ხეთაგურის უდიდესი ღვაწლი ის არის, რომ იგი არის მებრძოლი ნაციონალურ გამოთავისუფლებელ მოძრაობისათვის. მისი ლექსები „ვინ ხარ შენ“, „ობლების დედა“, „ღატაკის სიმღერა“ გამოხატავენ ოსი ღარიბი გლეხობის მძიმე მდგომარეობას და ამავე დროს წარმოადგენენ მოწოდებას ბრძოლისაკენ.

პოეტი **ს. გადიევი** თავისი თემატიკით და სოციალური მისწრაფებებით ენათესავება კ. ხეთაგურს. **ა. კოცოევი** და **ა. ყუბალოვი** კი ნაციონალური ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელნი იყვნენ.

ყუბალოვზე და კ[illegible]ზე [illegible] უფრო პროგრესიულია **ე. ბრიტაევი,** რომლის შემოქმედება წარმოადგენს მოწოდებას ბრძოლისაკენ. ძველი ყოფა-ცხოვრების დაძლევისა და მთიელი ქალის განთავისუფლებისათვის ძველი ადათების მუხრუჭებისაგან. მიუხედავად ყოველივე ამისა, იგი შეაშინა რევოლუციის „მკაცრმა ყოველდღიურობამ“ და პოეტმა თავი შეაფარა მისტიურ იდეალიზმს.

თანამიმდევარ რევოლუციონურ მწერალს წარმოადგენს **პ. გადიევი** (გარდ. 1931 წ.), რომელიც მთელი თავისი შემოქმედებით მთიელ ხალხებში აღვიძებდა რევოლუციონურ სულისკვეთებას, რისთვისაც იგი გადაასახლეს ციმბირში. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ გადიევი გახდა ნამდვილი მწერალი—ბოლშევიკი. პ. გადიევმა უდიდესი გავლენა მოახდინა ოსეთის პროლეტარულ ლიტერატურის განვითარებაზე.

ოქტომბრის შემდეგ სამწერლო ასპარეზზე გამოვიდენ ახალი ლიტერატურული ძალები, რომელთაც თან მოიტანეს მკაფიოდ გამოხატული პროლეტარული იდეოლოგია. ამ მწერლების ჯგუფმა 1923 წელს საფუძველი ჩაუყარა პირველ ოსურ სალიტერატურო ორგანოს, რომლის გარშემო თავი მოიყარეს ახალგაზრდა სალიტერატურო ძალებმა. ამის შემდეგ მალე ეწყობა სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია.

ოსეთის მწერლობის პროდუქციის რიცხობრივი და ხარისხობრივი წარმატება არასოდეს ისე შესამჩნევი არ ყოფილა, როგორც სამხრეთ - ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშაობის პერიოდში.

1930 წელს ჩატარდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის პროლეტარულ მწერალთა გაერთიანებული ყრილობა, რომელიც გადაიქცა სამხ.-ოსეთის პროლეტ. მწერალთა ასოციაციის განმტკიცების და პროლეტარულ ლიტერატურის განვითარების ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად.

სამხრეთ-ჩრდილოეთ ოსეთის პროლეტარულ მწერლობას შეემატენ მუშები, კოლმეურნეები, კომკავშირელი ახალგაზრდები. მწერლობაში გაწვეულ იქნენ ახალგაზრდები: **ნოროევი, ნინა გოლოვანოვა, ხ. პლითი, ს. გაზაევი, ა. პლითი,** რომელმაც მტკიცე ადგილი დაიკავეს პროლეტარულ მწერლობაში. თუ რა დიდი ნაბიჯი გადასდგა წინ ოსეთის პროლეტარულმა მწერლობამ, ამას ადასტურებს უკვე გამოცემული შემოქმედებითი პროდუქცია. გარდა იმისა, რომ სისტემატიურად გამოდის ჟურნალი „ფიდიოგი“ და სალიტერატურო გაზეთი, იბეჭდება და ვრცელდება პროლეტარულ - მწერალთა ნაწერების კრებულები „ვიზრდებით“, „წინად და ახლა“, ლიტერატურაში გაწვეულთა თხზულებები, იცემა ცალკე მწერალთა ნაწარმოებნი და სხვ.

სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რასაკვირველია, ვერ ასცდა პროლეტარულ მხატვრულ ორგანიზაციების საერთო შეცდომებს. რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პრინციპიალური შეცდომები ოსეთის პროლეტარულ ასოციაციაში განმეორდენ თითქმის ისეთივე ფორმებით, როგორც სხვა მოკავშირე რესპუბლიკების პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციებში. ამიტომ საჭიროება არ მოითხოვს მკითხველთა ყურადღება შევაჩეროთ ამ საკითხზე. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ ოსეთის ლიტერატურულ მოძრაობაში სალიტერატურო კრიტიკის სისუსტემ, ავტორიტეტული მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის დაბალმა დონემ შეაფერხეს დაშვებულ შეცდომების დროზე გამომჟღავნება და უპრინციპო ჯგუფური ბრძოლისა ლიკვიდაცია.

სამხრეთ-ოსეთის ლიტორგანიზაციის გარდაქმნამ საკ. კ.პ. (ბ) ც.კ.-ის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების საფუძველზე დიდი შედეგები მოგვცა.

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანიზაციული განმტკიცების და სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი ითამაშეს საქართველოს საბ. მწერალთა კავშირმა და სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების პირველმა ყრილობამ, რომელიც ჩატარდა საქართველოს და სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების დაკავშირების პერიოდში. საქართველოს მოძმე ორგანიზაციამ გასული წლის შემოდგომაზე გაიგზავნა მწერალთა დელეგაცია, რომელმაც თავისი უშუალო აქტიური მონაწილეობით სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების ყრილობაზე, უდიდესი დახმარება აღმოუჩინა ოსეთის ლიტორგანიზაციას ყველა იმ ამოცანების გადაჭრაში, რომელიც ყრილობის წინაშე იდგა.

ოსეთის ლიტერატურამ უკანასკნელ დრომდე არ იცოდა ისეთი ფართო მხატვრული ტილო—როგორიცაა რომანი. ეხლა უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა **ყულაევის** რომანი „თათარი ოსმანი“, **ფარნიონის** რომანი— „გრიგალი“ და **ჩერმენის**— „სხვა გზა არ არის“. სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურის ისტორია დღემდე არც ორგინალურ პოემას

ჩერმენ

სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარე

იცნობდა, ეხლა კი უკვე გვაქვს რამოდენიმე პოემა: **ფარნიონის** „სიხარულის ეპოქა“ **ხ. პლითის** „სალიმათი“ და სხვა. გარდა ამისა, დაიბეჭდენ და ბაზარზე გამოვიდენ **ყაზბეგ ყოროთის** ლექსების კრებული „ფოლადის ხმა“, **ხ. პლითის** „ნაპერწკლები“, **ფარნიონის** „ისმინე“, **ჩერმენის** „ამოწვდილი მახვილი“. და სხვა. სერიოზული ყურადღება ექცევა უკანასკნელ ხანებში დრამატურგიას, რომელიც სამხრეთ-ოსეთის სალიტერატურო ფრონტის ყველაზე ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენს. ამჟამად რამოდენიმე ოსი საბჭოთა მწერალი (ჩერმენი, ფარნიონი და სხვ.) მუშაობს დრამატიულ ნაწარმოებებზე.

ხ. ყულაევის ბოლო წლების შემოქმედება ცხადყოფს, რომ ოსეთის მწერლობაში ცნობილი ეს ნიჭიერი მწერალი სავსებით დაეუფლა დღევანდელობის აქტუალურ თემატიკას, იგი დააღწია თავის შემოქმედებაში კლასობრივი ბრძოლის მიჩქმალვის ტენდენციას, რომელიც ახასიათებდა მის ადრინდელ ნაწარმოებს, ყულაევი სამხრეთ-ოსეთის ლიტერატურაში ერთ-ერთი წამყვანი პროზაიკოსია, რომელმაც სამხრეთ-ოსეთის მწერლებს შორის პირველად მხატვრულად ასახა კოლექტივიზაციის პირველი ფაზისი.

სამხრეთ-ოსეთის ერთ მნიშვნელოვან პოეტს წარმოადგენს **კოსტა ფარნიონი,** რომლის უკანასკნელი დროის შემოქმედება გვიჩვენებს, რომ პოეტი თავს აღწევს იმ შემოქმედებით ჩავარდნებსა და მომემარცხეხო მისწრაფებებს, რომლებსაც ხვდებით ფარნიონის წინანდელ ლექსებში.

მტკიცე ადგილი მოიპოვა სამხრეთ-ოსეთის პროლეტარულ მწერლობაში პოეტმა **ყაზბეგ ყოროთმა,** რომელიც წინად მუშაობდა წარმოებაში, და თავისი მხატვრული შემოქმედებით იძლევა არა მარტო მუშათა კლასის ცხოვრებისა და წარმოების საკითხების გაშუქებას, არამედ იმ დიდ სოციალურ ძვრებს, რომელიც სოფლად მიმდინარეობს.

დიდი წინსვლა ემჩნევა ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებასაც. ცხადია, ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალს ემჩნევა ძველი ოსეთის ნაციონალისტური ლიტერატურის და წვრილ ბურჟუაზიული რევოლუციონური მწერლობის არა მარტო ფორმალური, არამედ იდეოლოგიური გავლენა. ზოგიერთ ამ მწერლებს ახასიათებს ისეთი ნაკლი, როგორიც არის სქემატიზმი. განყენებული სახეები, კლასობრივი ბრძოლის სიღრმისა და სირთულის ზერელე გაგება და სხვა. მაგრამ დღეს უკვე ემჩნევათ მტკიცე გადაწყვეტილება—იბრძოლონ ამ ნაკლოვანებათა დასაძლევად. ეს უკვე სჩანს მათ უახლეს ნაწერებში.

ჩერმენ.

ტფილისის პროლეტარიატი ეხმარება სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს

ტფილისის პროლეტარიატი, რომელიც არის საქართველოს მუშათა რაზმის ავანგარდი, იღებს ინიციატივას სამხრეთ-ოსეთის გასაბჭოების წლის თავზე შეამოწმოს როგორ ტარდება ცხოვრებაში ლენინის ნაციონალური პოლიტიკა, გაეცნოს ოსეთის რევოლუციონურ მოძრაობის წარსულს, შეისწავლოს მოძმე რესპუბლიკის მიღწევები სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე და გამოიმუშაოს ღონისძიებანი სამხრეთ-ოსეთის კულტურულ და ორგანიზაციულ დახმარების გაძლიერებისათვის.

ჩვენი საბჭოთა მწერლების ბრიგადა, რომელიც ტფილისის კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა სამხრეთ-ოსეთში კულტურულ კავშირის დეკადის ჩასატარებლად, მიუხედავად იმისა, რომ ბრიგადა შედარებით ცოტა ხანს დარჩა ამ მხარეში, ადგილობრივ ეცნობოდა თანამედროვე ოსეთის ყოფაცხოვრებას და თავის საანგარიშო მოხსენებაში წარმოადგენს მდიდარ მასალებს, თუ როგორია დღეს ოსეთის მშრომელი ხალხის კულტურული აღორძინება.

სამხრეთ-ოსეთი წარსულში, როგორც საქართველო და სხვა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, შეიძლება მათზე უარესადაც იტანჯებოდა ფეოდალური უღელით, მეფის მთავრობას ის ჩაყენებული ჰყავდა კოლონიის მდგომარეობაში.

მენშევიკების ბატონობის დროს არა ერთ და ორ დამსჯელ ექსპედიციას გაუვლია მის მიდამოებში, მთის ხეობებს ანათებდა სისხლიანი ხანძარი, და ნადგურდებოდა ღატაკი, ხალხის სახლკარი. მართლაც არ შეიძლება შეუძრწუნებლად წარმოიდგინო, თუ როგორ იყრებოდა თავის აულებიდან და სოფლებიდან ღარიბი მოსახლეობა და სიცივეში და სიმ[illegible] დაბუდიანათ წყდებოდა [illegible] შილში დეკლასობრივ ბრ[illegible] მშრომელ[illegible]ძოლაში იწრთვნებოდა [illegible] ოსეთის ხალხი და ოქტომბრის რევოლუციის წყალობით დღეს შეუდრეკლად იბრძვის სოციალისტური კულტურის შესაქმნელად.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე სამხრეთ - ოსეთში იყო 8 სკოლა, 900 მოწაფე და 2 მასწავლებელი. საბჭ. ოსეთის 13 წლის თავზე სკოლების რიცხვი გაიზარდა 348-მდე, მოწაფეთა—16.303-მდე და მასწავლებლებისა — 744.

ოთხწლედის ბაზაზე მოთავებულია მთელ ოსეთში საყოველთაო სწავლა, პირველად ჩაეყარა საფუძველი სამეცნიერო მუშაობას, არსებობს პედაგოგიური ინსტიტუტი, სამხარეო ინსტიტუტი, ისტორიული მუზეუმი, მუსიკალური სკოლა, სამხატვრო სტუდია, კულტურის მშვენიერი სასახლე, ჩამოყალიბებულია ახალი თეატრი. გასაბჭოების 13 წლისთავის დღესასწაულისათვის მოწყობილი ოლიმპიადა, რომელიც მთელ კვირას გრძელდებოდა [illegible] თუ როგორი ყურადღ[illegible], ახ[illegible] დროვე [illegible] ექცევა თანამედარ[illegible] ხელოვნების ყოველ [illegible] და როგორი მზრუნველობით ეპყრობიან ხალხურ შემოქმედებას.

იზრდება და თანდათან ვითარდება საბჭოთა მწერლობა, და 23 აპრილის დადგენილების შემდეგ უფრო მეტი ენერგიით გამოდიან ახალი კადრები.

გაზეთებისა და ჟურნალების ტირაჟი ოსურ ენაზე ყოველ წლობით მატულობს.

მარტო წელს გამოიცა 16 სახელწოდების წიგნი, მხატვრულ ლიტერატურიდან და სკოლები თითქმის უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით.

ჩვენ საგანგებოთ შევჩერდით კულტურულ ფრონტზე, ბევრად უფრო საგრძნობია სოციალისტურ მეურნეობის გარდაქმნა სოფელში და ქალაქათ.

კოსტა ხეთაგური

სამხრეთ - ოსეთი გლეხურ ქვეყნიდან იქცევა ინდუსტრიალურ მხარეთ და არავითარ ძალას არ ზოგავს გამოიყენოს თავისი ბუნებრივი მდგომარეობა. ბუნებრივი სიმდიდრით კი ეს ქვეყანა ძალიან მდიდარია, მხოლოდ ტრანსპორტი შეიძლება არსად არ იყოს ისე ვიწრო ადგილი, როგორც ოსეთში.

საკმარისია დავასახელოთ ის ფაქტი, რომ ზამთარში ფოსტა კამეჩებით გადააქვთ გორიდან სტალინირში, მთიან ადგილებში კი მოძრაობა სულ შეჩერებულია, სამხრეთ-ოსეთის მთელი ბიუჯეტს აჭარბებს ტრანსპორტზე გადახარჯვა, რომელიც 7 მილიონ მანეთს უდრის, მაშინ, როცა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა ანგარიშით მეტი არც დაჯდებოდა რკინის გზის გაყვანა გორიდან სტალინირამდე—32 კილომეტრის მანძილზე. ჩვენ სტალინირში ყოფნის დროს მოწყობილი იქნა ტრანსკავკასიის რკინის გზის დამხმარე კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გამოვიდენ ტფილისელი ცნობილი ინჟინერები და ტრანსპორტის მუშაკები.

ყოველი დაპირება, რომ რკინის გზა უეჭველად უნდა აშენდეს, დამწყრე ხალხში იწვევდა აღტაცებას და როდესაც ტფილისის პროლეტარიატის წარმომადგენლებმა აღუთქვეს, რომ ყოველ ღონეს იხმარენ წინ წაწიონ ეს საკითხი, დარბაზი [illegible] ტაშით გრგვინავდა, ასევე შეხვედ[illegible] ტფილისის საბჭოს თავ[illegible]ჯდომარის ამხ. ბ. მაჩაიძის გან[illegible]ცხადებას რომ ტფილისი იღებს შეფობას სტალინირზე.

გულწრფელ სიხარულს გამოსთქვამდა აგრეთვე მრავალრიცხოვანი ჩრდილოეთ-ოსეთის დელეგაცია, რომ ტფილისის პროლეტარიატი ეხმარება სამხრეთ-ოსეთის ხალხს. და რა... მთავარია, ადგილობრივი ხელისუფლება სათავეში უდგას და ხელმძღვანელობს ამ მასების ენტუზიაზმს. და ახალი გამარჯვების წყურვილს.

წიგნი, რომელსაც ამზადებს საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია ტფილისის პროლეტარიატის და ოსეთის მშრომელთა კულტურულ კავშირის დეკადასთან დაკავშირებით—იქნება უდიდესი დოკუმენტი, თუ როგორია მოქმედებაში ლენინის ნაციონალური პოლიტიკა და როგორია საბჭოთა ოსეთი ორი ხუთწლედის უღელტეხილზე.

ტ. ტაბიძე.

მწერლის ტრიბუნა

ლევან ასათიანი

გალაქტიონ ტაბიძე

გალაქტიონ ტაბიძის მნიშვნელობა მე-XX-ს. ქართული პოეზიის განვითარების ისტორიაში ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადოთ შესწავლილი. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს შეფასებული სიტყვის და ფორმის ის ოსტატობა, რომელიც მოცემულია გალაქტიონ ტაბიძის შემოქმედებაში.

გ. ტაბიძე თავის დროზე ერთი ნოვატორთაგანი იყო ქართული ლექსისა. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდება ჩვენთვის, როდესაც შესწავლილი იქნება მისი ლექსი რიტმიული და მეტრიული თვალსაზრისით, როდესაც გამორკვეული იქნება, თუ როგორი კულტურა შემატა მან ქართულ პოეზიას თავისი სახეების, მეტაფორმების, ეპიტეტების, რითმების და ასონანსების სიმდიდრით.

მხოლოდ ტენდენციური ადამიანისათვის არ იქნება ცხადი ის ფაქტი, რომ გ. ტაბიძემ მეტად საგრძნობი გავლენა იქონია უახლოესი ქართული პოეზიის განვითარებაზე და რომ ეს გავლენა დღესაც ხელსახებია ბევრი თანამედროვე პოეტის ნაწარმოებში.

გალაქტიონ ტაბიძე როგორც პოეტი ნაშიერია რეაქციის იმ პერიოდის, რომელსაც ბლოკმა „ყრუ წლები“ უწოდა. ორი რევოლუციის შორის მოთავსებული დროის მანძილი გასაღებს იძლევა გ. ტაბიძის პოეტური ფორმაციის გასაგებად. 1905 წლის შემდეგ პროლეტარიატი ძალებს იკრეფდა ახალ შეტევებისათვის. რევოლუციური ძალები ღრმად იყვნენ იატაკქვეშ წასულნი—დაქსაქსულ რიგების შესამჭიდროებლად. ნაწილი ამ ძალებისა სახრჩობელაზე იყო გაგზავნილი ან გადაკარგული ჩრდილოეთის შორეულ მაღნებში. ინტელიგენციის უდიდესმა ნაწილმა მყუდრო თავშესაფარი მონახა რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებისა და „აპოლიტიკური“ ხელოვნების შიგნით. „რეაქციამ, რომელიც ჩვენ განვიცადეთ,— სწერდა ალექსანდრ ბლოკი ერთ თავის წერილში ამ დროს,—რიდე ჩამოგვიფარა იმ ცხოვრებაზე, რომელიც ის—ის იყო გაღვიძებას აპირებდა შეიძლება ხანგრძლივი წლებითაც კი ჩვენ ვხედავთ რამდენიმე თაობას, რომელიც სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი საუკეთესო იმედების გაცრუების გამო. ძალიან იშვიათად შეხვდებით ადამიანს, ყველაზე ახალგაზრდებს შორისაც კი, რომელსაც გულზე მაღლაჟუნასავით არ აწევს სევდა“. (ა. ბლოკი. „ლიტერატურის შესახებ“ რუს. გამ. 148 გვ.),

ანალოგიური მდგომარეობა იყო საქართველოშიდაც. პესიმიზმი, უიმედობა, ასოციალური მოტივები მკვიდრ ნიადაგს პოულობენ ამ პერიოდის ქართულ პოეზიაში. გამონაკლისად პროლეტარული პოეზიის ჯერ კიდევ სუსტი ფრთა წარმოადგენდა.

გალაქტიონ ტაბიძე ამ პერიოდში იწყებს გამოსვლას. რა დამახასიათებელია ამ მხრივ მისი პირველი ლექსებისათვის: ანაკრეონტიზმი, ალტაცება სოფლის პრიმიტივით, იმპრესიონისტული ათვისება ბუნების და არაგედონისტური ვარიაციები „პირიმზეს“ თემაზე („პირიმზე, რისთვის ჩაფიქრებულხარ, პირიმზე, ჩრდილი რაზე გფენია“...) ამ დროს განსაკუთრებით ემჩნევა სოფლის მოტივების და ბუნების თემატიკის სიჭარბე, შეგნებული გვერდის ახვევა ქალაქის მოტივებისაგან („აქ ვერ მოაღწევს ზარი ტრამვაის“...), წარსულისა და ზღაპრების რომანტიკა.

ქართული ოდის აივნის გვერდით
მე მახსოვს მუხა
მუხიდან ტყისკენ ბილიკი ფერდათ
ვერხვები სწუხან.
ტყიდან ოდისკენ ბლიკი მოდის
ახლოა მოლი
ამოდის მთვარე, და ძველი ოდის
იშლება ზოლი.
სდგას აივანზე ლამაზი ქალი:
მოწყენით ნუ ხარ
ტყე შრიალებდა—იყო ტყის ძალი
შრიალებს მუხა.
პირიმზე, ჰაა? ხედავ, პირიმზე:
ამოდის მთვარე
ტყე განათდება, ქედზე ირემზე
ვერცხლდება არე.
რა საოცარი, რა საუცხოვო
ღამეა, გესმის?... და სხვ. („ზღაპრებიდან“),

ეს პლასტიურობა ბუნების აღწერაში, რომელიც შემდეგ სხვა ვარიაციით კიდევ ბევრჯერ იჩენს თავს („ეხლაც ჩემს თვალწინ არის, თქვენი სახლი ტყის პირად, და სალამო მდინარის, გახელილი ცისფერად“...) დამახასიათებელია გალაქტიონ ტაბიძის ამ პერიოდის პოეტური პალიტრისათვის, და ამდენათვე იდეური განწყობილებისათვის. პოეტი თანდათანობით, წლებთან ერთად, სულ უფრო მეტად მიდის თავის შინაგან არსში, თითქოს მისთვის სრულიად აღარ არსებობს სოციალური გარემოცვა და დღიური სინამდვილის „წყეული პრობლემები“. იგი შეგნებულად ერიდება საზოგადოებრივ მოტივებს და მაგრად იკეტება ინდივიდუალიზმის „ცისფერ გალიაში“. გ. ტაბიძის იმპრესიონისტული ესტეტიზმი უმაღლეს მწვერვალს აღწევს ომის წინა და მომდევნო წლებში. იგი ერთი პირველ წარმომადგენელთაგანია ქართული სიმბოლიზმისა, რომელიც მსოფლმხედველობისა და ლიტერატურული მიმართულების სახით დასავლეთის კაპიტალიზმის წიაღში წარმოშობილი და განვითარებული, იმ დროს რუსეთში უკვე ასრულებდა თავის თავს.

ლოზუნგი „ხელოვნება-ხელოვნებისათვის“, ინდეფერენტიზმი სოციალური მოტივებისადმი, პესიმიზმი, რელიგიურ ექსტაზი“ და ინდივიდუალიზმი მთავარი თვისებები იყო ყველა ქვეყნის სიმბოლისტებისათვის.

განსაკუთრებით ეს შეიძლება ითქვას გალაქტიონ ტაბიძეზე. მისი უიმედობის, პესიმისტური განწყობილების დამახასიათებელია მთელი რიგი ლექსებისა.

„თოვს, ამნაირ დღის ხარებამ ლურჯი
და დალალული ფიფქით დამთოვა,
როგორმე ზამთარს თუ გადავურჩი!
როგორმე ქარმა თუ მიმატოვა?
(„თოვლი“)

უფრო დამახასიათებელი და კლასიკური ნიმუშია იმავე „ზამთრისა და თოვლის“ ლექსების ციკლიდან:

ათოვდა ზამთრის ბაღებს
მიქონდათ შავი კუბო
და შლიდა ბაირაღებს
თმა გაშეშლილი ქარი
გზა იყო უდაბური
უსახო, უპირქუბო
მიქონდათ კიდევ კუბო.
ყორნების საუბარი
დარეკე დაუბარე
ათოვდა ზამთრის ბაღებს....

ავსტრიელი ექიმი მაქს ნორდაუ ასე ახასიათებდა სიმბოლისტი პოეტების შემოქმედებას: „გარკვეული სიტყვები, ცხოველი წარმოდგენები, მათთვის მიუწვდომელია,— სწერდა ნორდაუ,—ვინაიდგან მათი აზროვნება არ იცნობს მკვეთრად მოხაზულ, არაორაზროვან წარმოდგენებს. სიმბოლისტების წარმოდგენაში ბუნდოვანი, გაურკვეველი სიტყვები ყველაზედ უფრო შეეფერებიან მათ გაურკვეველ წარმოდგენებს. სიმბოლისტების პოეზიაში თქვენ ვერაოდეს ვერ შეხვდებით აზრის ლოგიურ განვითარებას; ბუნდოვანი სიტყვების შერჩევით, მათი გარკვეული შეფერვის გარეშე სიმბოლისტი პოეტები ცდილობენ შექმნან მხოლოდ განწყობილება“. სიმბოლისტური პოეზიის ერთი მამათაგანი, ვერლენი თავს ცნობილ ლექსში („პოეზიის ხელოვნება“) ისეთ დარიგებას აძლევდა თავის მიმდევრებს: „პირველ პირობას წარმოადგენს ის, რომ პოეზია იყოს მუსიკა, რომელიც გადმოსცემს განწყობილებებს. უპირატესობა მიაკუთვნე,—ურჩევს იგი პოეტს;—ბუნდოვანობას. ყველას სჯობს გაურკვეველი ლექსი, სადაც ბუნდოვანობა შერეულია სიცხადესთან. ჩვენ გვჭირდება უფრო ჩრდილები, ვიდრე ფერები, მეტი ჩრდილები“.

ნიმუშები და საუკეთესოც ასეთი „გაურკვევლობის“ ბევრი მოიპოვებოდა გალაქტიონ ტაბიძის სიმბოლისტურ ლექსებში. ბუნდოვანი სიტყვებით განწყობილების შექმნის ცდას წარმოადგენს თუნდაც ლექსი: „მას გახელილი დარჩა თვალები“.

მზეო თიბათვის, ყოფნა უმზეო!
მზე მიიცვალა ღია თვალებით
ის მიიცვალა რაღაც უმწეო
და საოცარი გარდაცვალებით.
მას გახელილი დარჩა თვალები,
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
ის უცხო მხარეს გარდაიცვალა
და გახელილი დარჩა თვალები.
და ეს თვალები სალამოთა ხმას
უსმენდენ ტანჯვით და მოკრძალებით
მას გახელილი დარჩა თვალები
ოჰ! გახელილი დარჩა თვალები!
რა ხდება იქით! საიდან ისმის
მგლოვიარეთა ქნართა: „მშვიდობით“?
უეცრად სწყვეტენ სიმები სიცილს
უიმედობით, უამიდობით“... და სხვ.

გალაქტიონ ტაბიძე თავისი პოეტური სპეციფიკით ძლიერ განსხვავდება ქართული დეკადენტი პოეტების („ცისფერი ყანწების“) თაობისაგან. გ. ტაბიძის პოეზიაში ვერ ნახავთ ვერც ბოჰემის აპოლოგიას, ვერც სიმახინჯის ესტეტიკას, ვერც თავაშვებული ეროტომანიისა და კოშმარების კულტს. ბოდლერის „შხამიანი ყვავილების“ სურნელი არ შეხებია მის პოეზიას ქართულ ლიტერატურულ დეკადანსთან შედარებით მისი იმპრესიონიზმი ჯანსაღი ბუნების მატარებელი იყო.

გ. ტაბიძე ქართულ პოეზიაში თვისი პოეტური რიტმით, შინაგანი განწყობით ძალიან ენათესავებოდა ბლოკს. ანალოგიისათვის საკმარისია გახსენება ბლოკის „უცნობი ქალის“ და გ. ტაბიძის მერის, „თოვლის“ და სხვა მოტივების განსაკუთრებულ სიყვარულის ორივე პოეტის პოეზიაში და სხვ. ამ თანხმოვანებას უსათუოდ გრძნობდა გ. ტაბიძე და ვფიქრობთ არც ერთ რუს პოეტს გარდა ბლოკისა არ ეხამებოდა ისეთი მიძღვნა, როგორიც არის მისი ლექსი „რუს პოეტს“.

ნიაღვარივით მოსკდა ზღაპარი
შორეულ ქალის, მომაკვდავ გედის,
ჩვენ სივრცეებში ვართ თანაბარი,
პალადინები ერთი იმედის
თითქო ერთგვარად ხედავდა თვალი
დაბინდებული ნისლით და ყინვით
და ერთნაირად ვიყავით მთვრალი
შენ შენი თოვლით, მე ჩემი ღვინით.
მივმართავ ბალმონტს, მივმართავ შელლის
რომ არ გვაშორებს მხოლოდ სართული
უდაბურება კალუგის ველის
და მწუხარება ჩვენი, ქართული

რევოლუციამდე გ. ტაბიძემ შექმნა რამდენიმე რჩეული ლექსებისა, რომლებიც დიდის მხატვრული ოსტატობით არიან შესრულებულნი. საკმარისია მარტო სათაურების ჩამოთვლა, ასეთებია: „მთაწმინდის მთვარე“, „ლურჯა ცხენები“, „თოვლი“, „მერი“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „ათოვდა ზამთრის ბაღებს“, „აკაკის ლანდი“, „სროლის ხმა მთაში“, და მრავ. სხვ.

საინტერესოა, რომ გ. ტაბიძემ ნახა თემები, რომლითაც თითქოს აღადგინა გასული საუკუნის ნახევარში შეწყვეტილი ხაზი ქართული რომანტიული პოეზიისა. ერთი საუკუნის მანძილზე „მერანის“ შორეულ გამოხმაურებათ ისმის „ლურჯა ცხენები“.

ნოვალისის ცისფერი ყვავილი და ნ. ბარათაშვილის რომანტიული ალსარება: „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს სიყრმიდან ვეტრფოდი“, ანალოგიით გვაგონებს გ. ტაბიძის ლექსების მთელ წყებას. თუნდაც მოვიგონოთ ლექსი „გზაში“.

...„აქ მრავალია ცისფერი ფერი
ეს ფერი მარად თვალს ეყვარება
როგორც ქალწულის სახელი: მერი—
არის ცისფერი და მწუხარება
გახედე შორ მთებს! გახედე სერებს!
გახედე ტალღებს ჩაქსოვილს ტბაში
ცისფერი ისე უცხოდ იფერებს
სამოსელს დღეთა ელვარებაში
სული ეძახის იმ უჩინარ ტყვეს
ვისაც სიზმრებში უხსნიან ბაგეს,
იისთვის ეძებს იისფერ ლექსებს
და ცისფერ სიტყვით ეძებს ციაგებს“...

ანალოგიები შორს წაგვიყვანდა. შეიძლება კიდევ ითქვას, რომ გ. ტაბიძემ მერის სახის შექმნით ნ. ბარათაშვილის მსგავსად „განაწმიდავა სიყვარული (ილია ჭავჭავაძის სიტყვებია,—და სიყვარულში სულიერებას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელებას“.

ოქტომბრის რევოლუცია უღელტეხილია გ. ტაბიძის შემოქმედებაში. რევოლუციის პათოსმა სრული გადატრიალება მოახდინა მის პოეტურ შემეცნებაში. იგი თავს აღწევს სოციალურ ცხოვრებიდან განდეგილობას და თავისუფლდება „წმინდა“ ლირიკის „ცისფერი საპატიმროდან“.

1917 წელს ცარიზმის დამხობას იგი ესალმება პათეტიური ლექსით „დროშები ჩქარა“ („გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...

დროშები ჩქარა!
თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა,
დროშები ჩქარა... და სხვ.).

ამავე წელს ეკუთვნის უაღრესი ემოციონალურობით გაჟღენთილი **რამდენიმე დღე პეტროგრადში“,** სადაც უდიდესი ექსპრესიით არის მოცემული განწყობილება ზამთრის, თოვლით გადაპენტილი დიდი ქალაქის და მარტოობის გრძნობით შეპყრობილი პოეტის.

ოქტომბრის რევოლუციის მიმღეობაში გ. ტაბიძეს როგორც პოეტს და მოქალაქეს არ დაუნცდია ინტელიგენციის უდიდესი ნაწილისათვის დამახასიათებელი რყევა და კრიზისები. იგი თვით იყო მოწმე და მხილველი „ათი დღის, რომელმაც შესძრა ქვეყნიერება“. რევოლუციისაკენ სავალ გზაზე მას დაუძლეველ დაბრკოლებად არ გადაღობებია წინ ინდივიდუალიზმის მაღალი ბარიერი. პასტერნაკის ჰამლეტისებური კითხვა

«Как мне быть с моей грудной клеткой».

მან თავიდანვე გადასჭრა თავისი პიროვნული და პოეტური ბედის რევოლუციის ბედთან დაკავშირებით. რევოლუციის პირველი დღეები გალაქტიონ ტაბიძემ მოგვცა **„ჯონ რიდში“.** ამ პოემას მოსდევს ქრონოლოგიურად მთელი რიგი პოემებისა: **„პაციფიზმი“, „ეპოქა“,** „რევოლუციონური საქართველო“ და წყება ლექსებისა რევოლუციონური დღეების თემატიკაზე. („პრესსა“ და სხვ.). საერთოდ თემატიკა ამ პოემებისა მრავალფეროვანია, იგი იტევს იმპერიალისტურ ომს, სამოქალაქო ბრძოლებს, ოქტომბრის რევოლუციას, აღმოსავლეთს, მუშათა კლასის თავგანწირვას კაპიტალისტურ დასავლეთში, სოციალისტური აღმშენებლობის სურათებს და სხვ.

ეს პოემები ოდა რევოლუციის და სოციალისტური დღევანდელობისათვის ბრძოლისათვის მიძღვნილი.

„ცეცხლივით ჩვენი ტრიალებს ხანა
ჩვენი მნათობიც ცეცხლის ფერია
მან ბევრი რული და მშვიდი ნანა
ქარიშხლის ხმებით მოიგერია.
მებრძოლ დროშასთან, ელავს კალამი
ეს ათი წელი—ათი აგური
დამკვიდრდეს როგორც ძმური სალამი
მხურვალე, მხნე და ამხანაგური“...
(„ეპოქა“).

პოეტი მოუწოდებს ხელოვნების არმიას ჩაბან სოციალიზმის ბრძოლის საქმეში:

„დაიდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი
ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი“.

დამახასიათებელია ამ პოემებისათვის აწეული, პათეტიური ტონი. ფაბულარული მრავალფეროვანება პოეტს საშუალებას არ აძლევს მკვიდრ სიუჟეტურ კომპოზიციურ მთლიანობით შეკრას თავისი პოემები. ეს პოემები ამიტომ უფრო ცალკე ლექსების კრებულებს წარმოადგენს.

რამდენადაც ძლიერია გ. ტაბიძე თავის პატარა ლექსებში, რამდენადაც ეს პატარა ნაწარმოებები წაკითხვის ან მოსმენის შემდეგ კვლავ განაგრძობენ „ჟღერას“ ჩვენს ცნობიერებაში (აკუსტიურად, ასოციაციების გამოწვევით, „ამღერების ეხოთი“ და სხვ.) და მცირე სიტყვობრივ რესურსებით აღწევენ ემოციონალური ზეგავლენის დიდ შედეგებს, იმდენად ავტორისათვის ეს ძნელი ხდება მასალის კომპოზიციურ მთლიანობას მოკლებულ დიდ ნაწარმოებში.

გ. ტაბიძისათვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო (ისევე როგორც ბლოკისათვის) რევოლუციის გაგება როგორც გრანდიოზული ნგრევის სტიქიონის; აქ თითქოს ხდება გაგრძელება ავტორის ძველი, უსაგნო რომანტიზმის ტრადიციებისა; ამ ტრადიციულ მანერას შედეგად მოსდევს გ. ტაბიძის პოემებისათვის დამახასიათებელი თვისება: სქემატიზმი, გადაჭარბებული პათეტიურობა, რიტორიული სიმშრალე და სხ. ამავე დროს უკანასკნელი პერიოდის გ. ტაბიძის შემოქმედებას ახასიათებს მაღალი იდეურობა, დიდი პათოსი და ენტუზიაზმი გაშლილი სოციალისტური მშენებლობისა.

თანამედროვე საბჭოთა პოეზია საგრძნობ ტენდენციას იჩენს ეპიური ფორმების შექმნისაკენ. (ცხადია, ამავე დროს არ მცირდება ლირიკის, როგორც პოეზიის ერთ-ერთი მთავარი დარგისადმი ყურადღება, ეპიური ფორმები კი მოითხოვენ უაღრესად კონკრეტულ (თანამედროვე თუ ისტორიულ) მასალის გამოყენებას. აქ ისმება სოციალისტური რეალიზმის, როგორც პოეზიის განმსაზღვრელი სტილის გამოყენების საკითხიც.

საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე რიგებში მდგომ პოეტს, გ. ტაბიძეს შეუძლია კიდევ მოგვცეს მუშათა კლასის ამოცანებისათვის სასარგებლო, სოც. რეალიზმის სტილით დაწერილი ნაწარმოებები.

პროლეტარიატის მსოფლმხედველობის დაუფლებით, მაღალი ოსტატობით, და ჩვენი სინამდვილის ზედმიწევნით. გაცნობით პოეტი შესძლებს იყოს ნამდვილი გამომხატველი ეპოქის შინაარსისა და იდეების. ეს არის დღეს თვითეული მწერლის საპატიო მოვალეობა: „მას სამოსელი ბრწყინვალების და გამარჯვების მოაქვს მებრძოლი პოეტისათვის“.



ნიკ. ლორთქიფანიძე

ცხენი

ჩერქეზები მიდიოდნენ. ოხვიერი ნიადაგიც კი წებოსავით ედებოდა ტერფს. და მიმავალს არ უშვებდა. მიდიოდენ ჩუმად. სიცილი არ ისმოდა; არ ისმოდა არც ტირილი. ბავშების ჭუჭყური განცვიფრებით მიაპყრობდა მთელი ლიანდაგი ყურადღებას და ისიც ჩაწყვეტდა ხმას. დიდი და პატარა—ქალი და კაცი, ყველა დაღვრემილი—ფეხით, ცხენით, ურმით. არ იყვნენ რიგებად და ჯგუფებად დაყოფილნი, მაინც არსებობდა რაღაც წესი. მიდიოდენ თითქოს უხილავ ცხედარს მიჰყვებიანო.

ხალხის ტალღას ემატებოდა წვრილ-წვრილი ნაკადები.

მიადგენ ზღვას. დაიწყეს ხომალდებზე გადაბარგება.

აქ კი ჩამოგორდა ცრემლი,—უცქეროდენ ნაპირებს.

აფრა გაშლილ ერთ ხომალდს მეორე მიჰყვა; მეორეს მესამე. ბევრი იძულებული გახდა ოხრად დაეგდო ბარგი, საქონელი; ზოგი ორ ცეცხლს შუა დარჩა—სახლკარაყრილი და წასვლის საშუალებას მოკლებული.

უკანასკნელ ხომალდზე, დაძვრის დროს, არაბული ცხენით მიიჭრა ყმაწვილი.

— გადმოხტი!.

— [illegible] მაგ ერთი მიმღებ მეზღვაურმა უარი განაცხადა, ადგილი არ არისო.

[illegible]ვიწროვებით შეწუხებულნი მიმავალნიც კი თხოულობდენ ამ ერთი კაცის შემოშვებაზე.

კაპიტანი უარს ამბობდა. ყმაწვილი ხან კაპიტანს ელაპარაკებოდა, ოქროს ოქროზე უმატებდა. ხან მეზღვაურებით უხსნიდა გვერდში მდგომთ, მოხუცი დედმამა წავიდა უკვე, თორემ მე ფეხსაც არ მოვიცვლიდიო. ბოლოს კაპიტანი დასთანხმდა, მხოლოდ ყმაწვილი წაეყვანა, ცხენზე კი გადაჭრით უარი განაცხადა.

— ცხენს რაღა უყო?!.. ასე უპატრონოდ ვერ დავიტოვებ!...—ყოყმანობდა ყმაწვილი.

— მიყიდე რუსის ოფიცრებს.—ურჩია იქვე მოვაჭრე კარტოზიამ.

ყმაწვილი მიადგა ერთ მათგანს—ის ყველაზე დიდ კაცად მიიჩნია—და, მართლაც, ის იყო ოლდენბურგის პრინცი, ხომწიფის ოჯახის წევრი, და თარჯიმანის პირით მიმართა:

— მიირთვით.... არ გავყიდი, მაგრამ რა ვქნა?... კარგი ცხენია... და თქვენ კარგად შეინახავთ.... უნაგირიც არ მინდა დავაშორო — ზედ გამიჭრილია.

ცხენი კი იდგა უძრავად გაქვავებული, თითქოს განაჩენს ელისო. ლურჯი ლაფშა შავად იყო მოკაზმული—მორგებული და სადა ჰქონდა ყველაფერი: ირმის რქის კეხზე ირმის თმითვე გატენილი ბალიში; საძუე, სამკერდე, ალვირი და მოსართავი მოქნილი, დაზელილი, თასმასავით რბილი: უკანა კოტაზე უწყვეტით გამობმული დახვეული შავი ნაბადი.

— რა მოგცეთ?—დაეკითხა პრინცი.

— რაც გნებავთ... ეხლა ვაჭრობის დრო არ არის.. ფულს მე მირჩევნია, კარგი პატრონის ხელში დავტოვო.

პრინცმა გადათვალა და -150 მანეთი გაუწოდა.

ჩერქეზმა შეხედა ფულს და თარჯიმანს მიუბრუნდა:

— შემაცდინეს.... ჩემს მაგიერობას მაგი ვერ გაუწევს ჩემს ცხენს—მეტად პურმავი ყოფილა...

ყმაწვილი ცხენს მოახტა—ჰალლა ილ-ჰალლა! — მიმავალთ სალამი მისცა, ქუდი მოიხადა და გაქრა.

ორი წლის შემდეგ სოჭის ახლოს მოჰკლეს ყმაწვილი, აბრაგებისა მეთაურიაო.

ცხენს ჯერ ურიადნიკი აჯირითებდა, შემდეგ გენერალი, გურჩინს ჰყავდა ქუთაისში, „კრასავჩიკს ეძახდა და ყოველ დღე, ხასადილევს, თავისი ხელით შაქარს აჭმევდა... ბოლოს ეთულუხჩე გაბრიელა უზოგველად ჯაგლაგებდა.

ს. თალაკვაძე

გადასასვლელი

(ნაწყვეტი რომანიდან)

განვლეს დღეებმა. უკვე ყველა ნაცნობმა და უცნობმა შეიტყო ანდროს გამემარჯვენება. გაზეთები სწერდენ, რომ ანდრო კირსანია მემარჯვენე ოპორტუნისტია, რომელმაც გააყალბა პარტიის ხაზი საკოლმეურნეო მშენებლობაში, იდეურ გადაგვარების გზაზე შესდგა და ამავე გზაზე დააყენა მთელი კომუჯრედიც სოფელში.

ყველა უჯრედებში ანდრო წარმატებით დაამუშავეს. დამცველი მას არ გამოუჩნდა. გამონაკლისი არ შეიქნა სოფლის ის უჯრედი, რომელიც ბაიაშვილმა „ანდროს უჯრედათ" მონათლა.

მაგრამ სხვანაირი ხასიათი მიიღო დამუშავებამ მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კომუჯრედში. აქ ხელმძღვანელ ორგანოს გარდაწყვეტილება ერთსულოვნად როდი მოიწონეს. აქ ამხანაგები ერთმანეთს შეეჯახენ და ერთმანეთს ასეთი ეპიტეტებიც კი ესროლეს: „მემარჯვენე", „მემარცხენე", „შემარიგებელო", ყველაფერი თითქო ანდროს უნებურად, მისი სურვილის წინააღმდეგ მოხდა. როცა ანდრო უჯრედის ღია კრებაზე მოდიოდა, არ ჰფიქრობდა ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილებისათვის წინააღმდეგობა გაეწია; გადაჭრით ადგა იმ აზრს, რომ დადგენილება მიეღო და თავის მართლება არ დაეწყო. მაგრამ ისე მოხდა, რომ ანდრომ დადგენილებაც გააკრიტიკა, თავიც იმართლა და ზოგიერთ ამხანაგს მაგარი სიტყვებითაც შეეხო.

მთელ ამ ისტორიაში პირველი როლი ითამაშა მკლავჩამოკიდებულმა და ჯერ კიდევ საკმაოდ განუკურნავმა სოფლელმა თინამ, რომელსაც აჰყვენ იულია, პორფილე და სხვები.

— ტყუილია, ეს ყველაფერი ბაიაშვილის ინტრიგის შედეგებია, ამხანაგებო.—შესძახა თინამ აღშფოთებით მომხსენებლებს, როცა მან თავისი სიტყვა დაასრულა.

კრება შეაცქერდა თინას, ამ ახალგაზრდა სტუმარ ქალიშვილს, რომლის სახეზე, სახის უდროო ნაოჭებში ჰკითხულობდენ მის მიერ განცდილ დიდ ტკივილებს. მოტეხილი მკლავი მას ბინტით მკერდზე ეკიდა, ეს თითქოს ავტორიტეტს ჰმატებდა თინას და დამაჯერებელს ხდიდა მის სიტყვას.

— მე, ამხანაგებო, იმ სოფლიდან ვარ, სადაც ბაიაშვილი და ამხ. ანდრო ერთად მუშაობდენ — განაგრძო თინამ,მე ვიცნობ ბაიაშვილს, იგი მეგობრობს ჩემს მენშევიკ მამას, რომელთანაც მე მუდამ დავა და ჩხუბი მაქვს. ამას წინად როცა გეპეუმ მამაჩემის დაჭერა მოინდომა, ბაიაშვილმა მას მფარველობა გაუწია. ამას გარდა ამხანაგებო,—(თინას სისუსტე მოერია)... იგი მხდალი კომუნისტია. მე მომიხდა მისი ტერორისტ კულაკისაგან დაცვა და ისიც მისი ჯიბიდან ამორთმეული რევოლვერით, ის ახლა ამას მალავს და ავრცელებს ხმებს, ვითომ თითონ გასწორებოდეს მტერს. ამას სჩადის იმ იმედით, რომ მე მძიმედ დაჭრილი ვეგულები და ვეროდეს ვერ შევსძლებ ამ ამბის გამომჟღავნებას. მე მის წინააღმდეგ ბევრი სხვა რამეც შემიძლია ვსთქვა, მაგრამ ჩვენს უფროსს ამხანაგებს, როგორც ვამჩნევ არ უნდათ მომისმინონ...

— სთქვით, ამხანაგო, გისმენთ!

— საჭირო არაა!

— უყურე ამ ანდროს? მოწმეები და მომხრეები სოფლიდან დაუბარებია!

— ამხანაგებო, ნუ უშლით.

მოისმა ერთმანეთში არეული, ერთმანეთის საწინააღმდეგო რეპლიკები.

მაგრამ თინამ მაინც ვეღარ შესძლო მეტის თქმა და დაჯდა. დასუსტდა. გვერდით მჯდომ ნინას მიეყრდნო.

ის, რაც კრებაზე სთქვა თინამ, უფრო ადრე ანდროს გაუმხილა. ანდრომ დაუშალა, ურჩია, ჯერჯერობით თავი შეეკავებია. მაგრამ თინა ისე იყო აღელვებული მომხდარი ამბებით, რომ ანდროს არ დაუჯერა. და ბოლოს თინას გამოუვიდა ისე, თითქო ხელმძღვანელ ამხანაგების წინააღმდეგ მასის წინაშე აკეთებდა აპელაციას.

ეს, ანდროს აზრით, დაუშვებელი იყო. ამიტომ თინას გამოსვლამ არა თუ ასიამოვნა, ძალზე შეაწუხა.

ამ ამბავმა ანდროს პარტიული მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა...

ეს ვერ შეეგნო მის მეგობრებს—პორფილესა და იულიასაც.

თინათი წაქეზებული — ისინიც ამხედრდენ და სთქვეს რამდენიმე სიტყვა ანდროს სასარგებლოდ.

— როგორ? თქვენ, ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილების წინააღმდეგ მიდიხართ? გაისმა მრისხანე ხმები პარტიულების სკამებიდან.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— აღარ ვიცი, ამხანაგებო. მე ხელმძღვანელ ორგანოს დადგენილების წინააღმდეგ როგორ წავალ? მაგრამ მე რომ ანდროს საქმეს ვიცნობ, არ მჯერა ეს ამბავი... საეჭვოა, ეს ბაიაშვილის მოწყობილი საქმე ხომ არ არის—დაარღვია სიჩუმე პორფილემ.

— შენ, ერთი ამხანაგის მეტი გჯერა, თუ ხელმძღვანელ ორგანოსი? შეეკითხა მას ვიღაცა.

— ხელმძღვანელმა ორგანომ უკეთ არ იცის, ბაიაშვილის საქმეა ეს თუ სხვისი? დაუმატა მეორემ.

— თვითონ ანდრო გამოვიდეს, ანდრო!.. გმობს თუ არა თავის მემარჯვენეობას?

— გაისმა ხმები.

თავმჯდომარემ ანდროზე შეაჩერა თვალი და მიმართა გამოსულიყო.

— მე, ამხანაგებო, არ ვფიქრობდი გამოსვლას—დაიწყო მორიდებით ანდრომ—დადგენილებას ვემორჩილები, როგორც პარტიის წევრი... მაგრამ, რაკი მთხოვთ... — ჩაფიქრდა და ისევ დაიწყო...

— ჩემი თავი არ მიმაჩნია მემარჯვენეთ. ამხანაგ ბაიაშვილის ხაზი, რომელიც ხელმძღვანელობამ მოიწონა, ვერ მივიჩნიე ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზათ. ლენინურ საქმეთ.—მან, ამხანაგებს და გლეხობას ურჩია სას.-სამეურ. არტელზე არ შეჩერებულიყო და პირდაპირ კომუნაზე გადასულიყო. იგი შეეცადა კოლექტივში შემოეღო კომუნის პრინციპები, რამაც გლეხობა დააფრთხო. ჩემის აზრით, კომუნისათვის გლეხები არ არიან მზად და არ შეიძლება მათი ისე ერთბაშად კომუნაზე გადაყვანა, როგორც მის საეჭვო წარმომადგენელს—ბაიაშვილს ნებავს. ჩვენ ამისთვის გვჭირდება ცოტა დაცდა, მეტი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარება. აი, ამხანაგებო, მეტს აღარაფერს ვიტყვი, და თუ მომცემთ ნებას, ჩემი აზრის დასადასტურებლად, წაგიკითხავთ ნაწყვეტებს დიდი ლენინისა და ჩვენი ბელადის—ამხ. სტალინის ნაწეოებიდან.

— წაგვიკითხეთ, წაგვიკითხეთ! მოიტა, თუ გვაქვს ასეთი რაიმე:—შესძახეს სკამებიდან ანდროს.

მაგრამ ანდრო მაინც იდგა და თავმჯდომარის ნებართვას ელოდა..

— წაგვიკითხეთ,—მაგრამ ისეთი რამე, რაც ჩვენ არ ვიცით—დართო ნება თავმჯდომარემ.

ანდრომ დაიწყო კითხვა:

„წვრილ მიწადმოქმედების გარდაქმნის საქმე, მისი პსიქოლოგიის და ჩვევების გარდაქმნის საქმე მოითხოვს თაობებს, ამ საკითხის გადაჭრა წვრილ მიწათმოქმედის მიმართ და მისი პსიქოლოგიის, ასე ვსთქვათ გაჯანსაღება შეუძლია მხოლოდ მატერიალურ ბაზას, ტექნიკას, ტრაქტორიზაციას, მანქანების გამოყენებას მიწადმოქმედებაში მასიური მაშტაბით, ელექტროფიკაციას მასიური მაშტაბით“.

— ამას სწერს, ამხანაგებო, ლენინი თავისი წიგნების მე-26 ტომში. ახლა ვნახოთ რას ამბობს ჩვენი მასწავლებელი ამხანაგი სტალინი ამავე საკითხზე:

„ჯერ კიდევ დიდი მუშაობა იქნება საჭირო იმისათვის, რომ გარდავქმნათ კოლმეურნე გლეხი, გამოვასწოროთ მისი ინდივიდუალისტური პსიქოლოგია და გავხადოთ იგი სოციალისტური საზოგადოების ნამდვილ მუშაკად. და ეს მით უფრო მალე მოხდება, რაც უფრო მალე განხორციელდება კოლმეურნეობათა მექანიზაცია, ტრაქტორიზაცია“.

— ამას გარდა, ამხანაგებო, არსებობს საკავშირო ცეკას ათი მარტის დადგენილება, რომელიც გმობს კოლმეურნეობათა საარტელო ფორმიდან კომუნაში გადახტომის ცდებს, რის დიდი ტენდენცია, ჩემს მოპირდაპირე ბაიაშვილს აქვს.

კრება უსმენს, და ანდროს არ ელევა არგუმენტები.

— მაგრამ უფრო ადრე, ორ მარტს ამხანაგი სტალინი ამბობდა,— „სასოფლო-სამეურნეო არტელი ახლანდელ მომენტში წარმოადგენს ძირითად რგოლს საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიაში“-ო. ქვევით წავიკითხოთ კიდევ ერთი ადგილი, თუ როგორ ესმის ამხანაგ სტალინს კოლექტივის პრინციპი და საფუძველი: „სასოფლო-სამეურნეო არტელში განსაზოგადოებულია ძირითადი საწარმოო საშუალებანი უმთავრესად მარცვლეულის მეურნეობათა ხაზით: შრომა, მიწათსარგებლობა, მანქანები და სხვა ინვენტარი, მუშა-პირუტყვი, სამეურნეო ნაგებობანი. აქ არ არის განსაზოგადოებული: კარმიდამოს მიწები (პატარა ბოსტნები და ბაღები), საცხოვრებელი სახლები, მეწველი პირუტყვის ერთი ნაწილი.

— ამხანაგებო, აი რას ამბობენ ჩვენი ბელადები,—დაასკვნის ანდრო, ყოველივე ეს მე უაღრესად გავატარე ჩემს საქმიანობაში სოფლად, და დავისაჯე უსამართლოდ. მაგრამ კიდევ უფრო დაისაჯა ჩვენი საერთო საქმე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა. კრების ხელმძღვანელებმა არ იცოდენ, რა ეპასუხათ, როგორ მოქცეოდენ ანდროს. ხომ ვერ დაარღვევდენ ადგილობრივ ხელმძღვანელების დადგენილებას, რომელიც უნდა გაეტარებიათ და მიეღებინებიათ კრებისათვის. მაგრამ სწორედ ამიტომ საჭირო იყო პასუხის გაცემა ანდროსათვის.

საბოლოო სიტყვა მომხსენებელს ეკუთვნოდა. მაგრამ რა უნდა ექნა? როგორ უნდა შემოევლო გვერდი ამოდენა არგუმენტებისათვის? რისი დაპირდაპირება შეეძლო, რომ დაერღვია.

— აი ამ კითხვებს საგონებელში ჩაეგდო მომხსენებელი და ელოდებოდა, როდის მისცემდა თავმჯდომარე სიტყვას დასკვნისათვის. სიტყვა მას აუცილებლად უნდა ეთქვა და იგი უმთავრესად ანდროს პასუხი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, თინაზეც უნდა შეჩერებულიყო, მაგრამ მთელი სიმძიმე ანდროზე გადაეტანა...

ანდროს შემდეგ სიტყვის თქმის მსურველი კრებაზე არავინ არ გამოჩნდა, და მომხსენებელმაც დაიწყო თავისი საბოლოო სიტყვა.

მან დაახასიათა ბაიაშვილი, როგორც მომზადებული, ენერგიული, ახალგაზრდა კომუნისტი, ხელმძღვანელი ორგანოს რწმუნებული და ნდობით აღჭურვილი; დაახასიათა ანდროც, როგორც—ძველი ბოლშევიკი, მაგრამ დაღლილი, მოდუნებული, გაკონსერვატორებული, ოპორტუნიზმით დაავადებული, როგორც უდისციპლინო, რომელიც არ ემორჩილება უფროსი ამხანაგების დირექტივებს. რა თქმა უნდა, მომხსენებელმა აქ მასალად გამოიყენა ბაიაშვილის ანდროს შესახებ მიერ ხელმძღვანელ ორგანოში გამოგზავნილი საჩივრის დიდი ბარათი.

არა, ამხანაგებო, ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოს რომ ვერ გაეგო ლენინისა და სტალინის აზრები, მას არავინ არ დააყენებდა. ასეთ ხელმძღვანელობას საკავშირო კომპარტიის ცეკა დაუყოვნებლივ მოხსნიდა. აქ ამხ. ანდრო თავის დანაშაულს კიდევ უფრო აღრმავებს. როგორ აყენებს იგი მაინც საკითხს?—ჩვენმა ხელმძღვანელობამ ვერ გაიგო, იგი შეცდა და მხოლოდ თითონ ანდროა მართალი. მაგრამ ეს ანდროსებურად (მემარჯვენეებიც ლენინს იმოწმებენ.) გადაკეთებული ციტატებია. ჩვენ აქ არც შეგვიძლია ვენდოთ ამ ციტატებს, ანდრომ მათ ხომ თავის ბლოკნოტზე გვიკითხავდა და არა ლენინისა და სტალინის წიგნებიდან... ჩვენ ამასაც შევამოწმებთ, დაასკვნა მომხსენებელმა თავის ბოლო სიტყვას.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. აღარვის ხმა არ ამოუღია.

ანდრომ მაინც წამოიღო თავისი ფაბრიკის უჯრედიდან მემარჯვენეობის იარლიკი. ვერ იხსნა იგი უდიდესი ავტორიტეტებიდან არგუმენტების მოყვანამ.

ი. ლისაშვილი

საოქტომბრო აღლუმი წითელ მოედანზე

მზემ მიანათა
კრემლის მწვერვალებს,
დილის დუმილში მოსჩანს ხალისი,
კიდევ ადრეა—ქარი მძვინვარებს,
მაგრამ ზღვა ხალხი
მოსჩანს თვალის წინ.
გული ვინ იცის
რას არ მიამბობს,
სურვილის სხივებს ავიღებ მიზნად;
ეს დღე ბრწყინვალე—
რადგან დიადობს,
მეც ნაბიჯები
გადავსდგი ფხიზლად.
მიუახლოვდი...
ვამბობ ეგ არი
თვალს სიზმარივით, რომ იხატება—
მძინარ ბელადის
თავშესაფარი
შუქი დაყრილი ანდამატიდან.

თითქოს მომაგდო ქარმა,
გრიგალმა,
სადაც ირხევა
დროშა მაღლი
და რაღაც ხმებმა,
რაღაც გრიგალმა,
ჩამოანგრია თითქოს ნაპრალი,
ვიგრძენ:
შეკრთება გული მთებისა
საქართველოდან აქ მოტანილი,
როცა ბელადი
გამარჯვებისა
გვიახლოვდება—
მოდის სტალინი.
ის გადმოდგება
ლენინის ძეგლთან,
აღარ შეწყდება—
„ვაშა"-ს ძახილი
და გავიფიქრე:

ახლაც მის მხრებთან
ქვეყნის სიმძიმე არის დახრილი
და წამოვიდა
მქუხარ გრაგანით
სოციალისტურ
მკერდის ფიცარით
წითელი ჯარი
ვით ტყე უღრანი
და მოქნეული
ბასრი ისარი.
იქვე ღიმილი
მშუხარებისა,
მტრების შეხედვა
ფარისევლური..
აღარ მოხდა და აღარ ეღირსათ
ასრულებოდათ
ზრახვა ველური.
წითელ მოედანს
დღეს სიხარული

ყველა მხარიდან ისე
აწყდება,
როგორც ტალღები
გადმოღვარული
ზღვის კუნძულებზე
რომ მიაწყდება
რომ გავიმარჯვებთ
ასეთი არის—
ჩვენი სურვილი
და ნებისყოფა
თითქოს ამაგდო
ქარმა—
გრიგალმა,
სადაც ირხევა
დროშა მაღალი,
და ისევ მძაფრი ხმების
გრიალმა
ჩამოანგრია ვამბობ
ნაპრალი.

ვ. ხობისპირელი

მემაღაროელთა საუბარი

თუ გმირობაზე ჩამოვარდა აქ ლაპარაკი
გთხოვთ ნება დამრთოთ
მოგახსენოთ მე ორიოდე,
იმ მთებს გადაღმა,
სადაც ორი მდინარე ერთვის
ძევს შავი მიწა უნაყოფო და გულისოდენ
იქ ჯანსაღია ჰაერი და
წყალი კრიალა,
ოცდახუთის ვარ და ოცამდე
იქ მიცხოვრია,
ღონე კარგი მაქვს
გამბედავიც ვყოფილვარ მუდამ,
რამდენჯერ მთები
შავ ღამეში დამირბენია.
აქ თქვენ აქებდით
მოჭიდავე ვინმე ქვარიანს,
ამ კაცის მკლავებს
თურმე ვინ არ დაუძლევია,
ზეპირად იცით, როგორც
გმირის მოღვაწეობა
რამდენი კაცი სად და როდის
წაუქცევია.
ხუთი წლის წინად
იმ მთებიდან დამიკრავს ფეხი
და მაღაროში სამუშაოდ
კაცი მოვსულვარ
დღეა თუ ღამე ბრძოლის ველზე
ვიბრძვი ვაჟკაცურ
და რვა საათს მე
ქვანახშირის ზეცა მახურავს.
არ ვქადაობ მე და არც ვინმე
წამიქცევია,
მაგრამ მთის გულში
ბლომად ვანგრევ ნახშირის ფენებს,
წერაქვით ხელში დამეჯიბროს
მაგარ მხრებიანს,
ვინმე ჩვენს შორის
ვაჟკაცობას თუ დაიჩემებს.
იგი ნახშირი
ხვალიდანვე შორს გაქანდება,
უკან დაირჩება მდინარენი,
მთანი და ველი,
იმავ ნახშირით
ქარხნის გული აგრიალდება
და შორს ქალაქში
მიაკივლებს მატარებელი.
[illegible] მითხარით
ვინ ყოფილა ჩვენს შორის გმირი?
— თქვა ეს და ხალხი
აიტანა ირგვლივ ხალისმა.
— მართლაც გმირი ხარ მეგობარო
თქვა მოხუცმა და
დამსწრეთა სიხარულის ხმები გაისმა.

ქ. ცხინვალი, 1932 წ.

კონსტანტინე გამსახურდია

მთვარის მოტაცება

(ნაწყვეტი რომანიდან)

„აფსილებისა და ნახევარმთვარა ზღვის კიდის მეორე ნაწილში აბაზგები მოსახლეობენ.. აბაზგები ძველითგანვე ლაზების ქვეშევრდომები იყვნენ. ხოლო მუდამ ჰყავდათ ორი თვისტომი მთავარი.. ეს ტომები ჩვენს დრომდი საცა თაყვანსა სცემდნენ ჭალებს და ტყეებს. უცნაური გულუბრყვილობის გამო ხეები ღმერთებად მიაჩნდათ, თავიანთი მთავრებისაგან საშინელი ჩაგვრა გამოუცდიათ მრავალგზის, რაკი ესენი ეგზომ ვერცხლის მოყვარულნი ყოფილან თურმე“.

პროკოფი კესარიელი.

ერგეაშვა

არის ერთი უცნაური სიმღერა აფხაზეთში.

ვიპრიდას არა ჰგავს იგი ერუანტელის მომღერლის, არც ახრაამშვს, დაკოდილს რომ უმღერებდენ, მოსალბუნე სინაზით საქსეს, ჩონგურის მონოტონურ ღლარუნში არეულს, არც აზარს—თარჩიას დროს შესაძახებელს ფაცური, ამაზრზენი კივილით რომ გამოუდგებიან წითელ-პერანგიან ვაჟს ჩაბალახით წელგაკრულს, შავჩოხიანი ცხენოსნები.

არც იმას, მარულას დაწყებისას ნაბდით შებურდილ ცხენს რომ უტყვიან აბხაზები ზარითა და დამბაჩების სროლით.

არა, სულ სხვაა ეს ღამეული მგზავრული.

ერგეაშვას უწოდებენ მას.

ერგეაშვას მგრგვინავი, ვაჟკაცური ხმით მღერიან.

მოგზაურთა, გზამოჭრილთა და წყალში გაჭირვებულთა გასაგონად.

მიდის ჩაბალახით თავგაკრული აბსუა*) ალერსიანად უტატუნებს აჩიგვარას მათრახს თავის ტანმორჩილ ცხენს. ღამით თვალი უჭრის, ქარის არ ეკრძალება, ყინვის არ ეშინია, ნაბადი განზე მოუგდია, თავი ჩაბალახითა აქვს გაკრული.

ფოცხვერების ჩხავილს არად აგდებს არც ნაზამთრალი მგლის შეყმუვლებას ბნელ გორმახებზე.

მიდის უშიშარი და შეუპოვარი აბსუა ომახიანი ხმით მიმღერის.

დეე, გაიგონოს მისი ხმა მგზავრმა ღამეულმა, სხვის მიწიდან გადმოსულმა, გზას აცდენილმა და უბინადრომ კარგმა ვაჟკაცმა კარგ ცხენზე მჯდარმა, გაჭენებული ცხენიდან მათრახის ენას რომ გაჰხვრეტს, ხანჯლით პირს ტყვიას რომ შეაჭრის და ცხენს იმ სიმაღლეზე გადაახტუნებს, უნგრელის კავალერიას არც კი ზმანებოდეს.

დღისით მზისით მტერს და განსაცდელს არ შეეპუება, მაგრამ თუ გზა ვერ გაიგონა და მეგზურიც ვერ იპოვნა, რა უყოს მაშინ კარგმა მამაცმაც ღამეს (და არსად ისეთი ბნელი ღამე არ იცის, როგორც აფხაზეთში, სადაც ბუნების სუბტროპიული [illegible]).

სწორედ ამ სიმღერას მღეროდა აბჟუადან ზუგდიდს მიმავალი კაცი ზვამბაია თავის ჩერქეზულ ჭაკზე იმედიანად მჯდარი, უკნიდან ეშმზე დაწინაურებულს, ჩორთით მიმავალ ვაჟს ეკითხებოდა.

ეს იყო მხოლოდ, კარგად ვერ მიმხვდარიყო: არზაყანს აჩქარებდა ცხენი თუ მხედარს ვერ დაეოკებინა ახლად გახედნილი კვიცი.

„ჰეი ვარი, რამდენჯერ მითქვამს: ალვირი მარცხენა ხელით უნდა გეჭიროსო ტახტასთან. როცა გაგიჭირდება ორივენი თანაბრად უნდა ასწიო და მოკლედ დაუჭირო [illegible]“.

არზაყანმა მარჯვენა ხელიდან მარცხენაში გადაიტანა ალვირი და მაგრად მოსწია სადავე.

მართალი უთქვამს ბრძენს, ფიქრობდა კაცი ზვამბაია, ჩემს ნახედნ კვიცზე ყმაწვილი, ან დედაკაცი არ შესვათო.

„გზა ტალახიანია და იმიტომაც [illegible]“.

„ვირეც ეგ უსწავლებიათ შენთვის ლეგიონში, გესმოდა მამა, სწორედ ტალახებში და ხნულში უნდა ატარო ახლად ნახედნი ცხენი“.

„ლეგიონში გვასწავლეს ალვირი ორივე ხელით უნდა გეჭიროსო“.

„კაი მიეცა მაგათ“..

„თუ შენ ვერ მოერევიხარ მაგ ულაყს, გავცვალოთ ცხენები“.

არზაყანი თუმცა კომკავშირელი იყო, მაგრამ ძველი აბხაზური ტრადიციები მთლად არ იყო მასში ამოფხვრილი, ცხადია, იგი ჭაკზე იუკადრისებდა შეჯდომას და ამიტომაც მოიბოდიშა: სჯობს ისევ მე შევეჩვიო, ეგებ მარულაზე ამ ცხენზე მომიხდეს ჯდომა, ასე ამბობდა. თანაც ეშინოდა, ვაი თუ მამამ დასაჯოს და ჭაკზე შემსვასო.

კაცი ზვამბაიას ცხენი გულნაწყენად ფრუტუნებდა, წინ მიიწევდა ჯავრობდა: თავდაჭერილი მხედარი დაწინაურებული ულაყის გასწრებას, რომ ანებებდა, ცხენიც ხომ ხარბია, თავის ტოლს თუ ხედავს ალვირმოშვებულს და წინ მორბენალს.

მთვარემ გადმოხედა ახლად აყვავებულ ალუჩებს და ატმებს, ვერცხლის ღიმილი გადაათოვა ველებს და მერმე წამოვიდა შავი ზღვის ნასუნთქი ღრუბელი, შემოუარა, შემოევლო, ზედ გადაეფოფრა მთვარეს როგორც ბოლოგაშლილი ფარშავანგი თავის ნამლევს.

აჩქარდა კაცი ზვაბაიას ცხენიც, გრილი ზღვაური ნაზად ეალერსებოდა შეზარხოშებული მოხუცის სახეს. მის გვერდით მიჰქროდნენ ალვების, ჭანდრების თალხი სილუეტები, სერები, კორდები, ნაკეპი, ნაჩეხი ბარდები და ტყეები. მზეს გადაესწრო მთების გადაღმა, გრძელი, თალხი ჩრდილები ზოლებად წვებოდნენ გაშლილ ტაფობზე, მწვერვალების კბილოვანი ნაჩრდილევი ისე იხატებოდა მინანქრის ფერ ცაზე, როგორც გოლიათური გიშრის ორნამენტები.

ენგურს ვეღარ გავალთ წვრილ ვახშამობამდის, ნაღვლობდა კაცი ზვამბაია. გულის სიღრმეში მაინც უხაროდა რაღაც. მართლაც რა სჯობია იმას, თავადაც მხნედ იყვე ვაჟკაცი და მოსწრებული ვაჟი ცხენს მოაჯირითებდეს შენს გვერდით.

მაინც ცალყბად ტუქსავდა არზაყანს სულწასულსა და მოუთმენელ მხედარს. კარგი მხედარი მათრახს უნდა ზოგავდეს, რადგან კარგი ცხენი უმათრახოდაც იცნობსო მხედარს. და არავინ ისე საცოდავი არ არისო, როგორც მეგრელისეული ცხენი. მეგრელს ცხენი ცოლშვილს ურჩევნიაო, თავის ცხენოსნობის გამოსაჩენად თუ დასჭირდა, ცხენსაც არ დაზოგავსო.

მაგრამ ღამის ქადაგებას რა ჭკუა აქვს. არზაყანმა დღისით ნათქვამიც არ დაუხსოვნა მამას.

კომკავშირში ნუ შედიხარო და მთელს სოფელში პირველი ჩაეწერა, ჩალმაზს—რაიონის მდივანს ნუ აჰყვებიო და ლამისაა გულში ჩაიძვრინოს ჩალმაზი.

აჩანში დანიშნული მზითვიანი ქალი მიატოვა და თამარს გადაეკიდა შერვაშიძის ქალს. რა მისი საქმეა თავადის ქალი! სად შერვაშიძე და სად ზვაბაია.

ტფილისში, ლეგიონში სულ გადაარჯულეს. აწ რა უნდა შეასმინოს კაცმა ახლანდელ შლეგ ახალგაზრდებს. უნდა დაიწვას წიგნები და გაზეთები, ბლუზიანი და კეპიანი ხალხი უნდა ამოწყდეს. ასე ფიქრობდა კაც ზვაბაია და ალერსიანად უტლაშუნებდა აჩიგვარას მათრახს თავის ფეხკავშა ჭაკს.

ცოტა ხანს მდუმარედ მიჰყვებოდენ მამა და შვილი ღრანტეებში, ბარდებში გავლებულ თემშარას.

რომელიღაც ნადირმა გაიშილინგა კატაჰარდებში.

შეხტა, შეკვინტრიშდა ულაყი, აცქმუტდა, ატოკდა კაცის ცხენიც, განზე გაიწია [illegible] და როცა მხედრის ნაცადმა ხელმა ლაგამი მტკიცედ ამოსდო ლაშებში, შედრკა, შენელდა და ისევ მორჩილად გადავიდა ლაფშურზე.

არზაყანს წაართვა თავი ულაყმა, იმძლავრა ისევ მხედარმა და სიბნელეში აისვეტა ცხენიც და მხედარიც. ციცინათელებსავით გაიელვეს დაკვესილმა ნაპერწკლებმა ხრეშიან შარაზე. გაბრაზდა მხედარი და მათრახის მოწყვეტილმა ტკაცანმა გააპო დუმილი ღამის, მაგარი ეხლით მოუღრიჯა კისერი ცხენს მურზაყანმა. შემოატრიალა დატუქსა ისევ და მხარმარჯვენიდან ამოუდგა მამას. მოეკრძალა მურზაყანს მამის, არ უნდოდა შეემჩნია მას, რომ ასე სულმოსწრაფებით მიიჩქაროდა არზაყან ზუგდიდისაკენ. რას გააპარებს ბერიკაცს ის რაც ზევითაა, ორი იმდენი ქვევიდაც უნდა იგულისხმო. უთუოდ მიუხვდება გულისხმას ჭაბუკს თუ რად აჩქარებდა მთელი დღე ენგურზე გასვლას. ენგურზე შესაძლოა ბორანით გასვლა მოხერხდეს.

დაფრთხა რომელიღაც ფრინველი ბარდებში, აძაგძაგდა, გაფიცხდა უარესად ცხენი. გახელდა ჭაკიც, აყვენ ურთიერთს ცხენები, გადალახეს მამის სურვილი და კაცის ხათრიც. შეზარხოშებული კაცი და სისხლმოჭარბებული ვაჟი უსაზომოდ მიაჭენებდნენ ცხენებს ამ მრუმე ღამეში, ფლატეების, ხრამების, ბარდების და ღელეების გაუკითხავად, კუნძებით, ლოდებით, რიყის ქვებით მოხერგილ შარაზე.

ჭარმაგი, დარბაისელი კაცი უნებლიედ აჰყვა თავაწყვეტილ ვაჟს, სადავე მაგრად ეჭირა ხელში. ახლა კაც ზვაბაიამაც სიამე იგრძნო ანაზდეულად, გადაავიწყდა, რომ საცოლე ვაჟის მამა იყო და მთელს აბხაზეთში სახელგანთქმული მხედარი, ერთ წუთში თითქოს გაირდა მოხუცი კაცი ზვაბაია და ხედავს იგი ახალგაზრდა კაცი ზვაბაიას, რომელსაც ოცი წლის წინად სწორედ ამ ნაჯიხვარზე როგორ გაუქენდა ცხენი, მაშინაც მარულაზე მიდიოდა, მაშინაც ასე ნასვამი იყო და ცხენიც ასე მოულოდნელად დაფრთხა რომელიღაც ნადირის უეცარ შილინგზე.

გასულა სიჭაბუკე, გასულან წლები, მაგრამ მაინც განუზომელი სიხარული დაძრულა კაცი ზვამბაიას გულში, რადგან ეს მისივე სისხლია წინ რომ მიისწრაფის, ეს მისი ხორცია ცხენები რომ აალევა.

მიჰქროდნენ მათ გვერდით, კორდები, სერები, ნაკეპი, ნაჩეხი ტყეები. ლასლასით გარბოდნენ სივრცეში ცამდის ალანძული მთები, შავნაბადიანი რაინდებივით ამპარტავანი და სოფლის ერიამულს განრიდებულნი.

ისევ შევიდა ჭაბუკი აზარტში, მამა ხმას არ იღებდა, ამიტომაც ქუსლი ჰკრა უეცრად ცხენს „აჰჰაიტ“-შემოსძახა, ავჟანდებზე წამოიწია, მაგარ-მაგარი აჭამა ულაყს.

შემოესმა შვილის ხმა კაცი ზვამბაიას, საოცრად მამაცაური და გამომწვევი, შლეგივით გაეღიმა ღამის სიბნელეში, თავადაც მათრახი მოუქნია ცხენს, თავადაც ცერებით წამოიდგა ავჟანდზე, ნებანება მიუშვა სადავე ცხენს და დიაცივით ხარბი ჭაკი მიჰყვა კვალდაკვალ გაზულუქებულ ულაყს, თითქოს მხედარი აქ არ იყო, თითქოს აქ მხედარის არაფერი ეკითხებოდა.

მიაქროლებს თავის ცხენს კაცი ზვამბაია ჭაკმა წაიგრძელა კისერი და მხედარს უხარია ამ ბნელ ღამეში: ეს მისი სისხლია მას რომ შორს გაუსწრო, ეს მისი ხორცია მას რომ აღარ უცდის.

რომელიღაც პატარა სოფელი გაიარეს, ცხენების თქარუნზე აზვავდენ ძაღლები, გადმოლახეს ღობეები და თხრილები, ამაოჯეფით გააყრუეს მძინარე სოფელი, გაიჯაგრეს სოფლის ბოლოს გასულმა მხედრებმა

აიშვა მამისაგან ამგზის დატუქსულმა, მამის ნებას გადაყოლმა მთლიად მიანება სადავე თავის საყვარელ ულაყს, ისევე, როგორც ლეგიონში სჩვეოდა ხოლმე და ახლა ზედიზედ გაბედულად აჭამა მათრახი ცხენს.

მათრახი მოხვდა? გაჭენდა უარესად, გაფრინდა ცხენი, დაჰყივლა მხედარმა ენგურის ჭალების პირისპირ ენგურის შორიული შხუილით გახარებულმა და ამცნო ჭაღარა მამას შეჯიბრში გაწვევა.

ისევ წამოდგა ავჟანდზე მამა. აბხაზური ცხენოსნობის დიდმა ინსტინქტმა იწყინა თითქოს შვილის თავხედობა, გულში გაეღიმა ანაზდეულად და იმედიანად მოსხლიტა ჭაკი, თავს გადაევლო უშველებელ ეკლიან ბარდს, რათა ამგვარად მოეჭრა შვილისათვის გზა.

ჰმ, ვის უბედავს ეს ბიჭუნა შეპაექრებას! კვერცხის ნაჭუჭში ამოხეთქილა პირყვითელა წიწილი და კრუხს შეჰკამათებია.

არწივს ფრენაში გაჯიბრებია ახლად აღნავებული მართვე.

ენგურამდის კიდევ შორსაა და... ენგურამდის ანანებს თავის თავხედობას კაცი ზვამბაია ამ ბიჭუკელას.

ჰეი გიდი, რა ბნელი დროები გაუთენია კაცი ზვამბაიას!

[illegible] კაზახების ექზეკუცია ეწვია რეაქციის ხანებში. დატუქსეს, დაძარცვეს აბჟუის ტომი. ვაჟკაცები ტყეში გაიხიზნენ ზოგნი—და კვირა დღეს, როცა საქმე და საძარცვი შემოელიათ, ასეულის უფროსს ჯირითის გამართვა მოუნდა. ეკლესიის მოედანზე შეამწკრივა ყაზახისუსები და შეჯიბრში გამოიწვია შინ დარჩენილი აბხაზები გაზულუქებულ, გასუქებულ ორლოვის რისაკებს უნდა შემბმოდნენ აფსნის გამხდარი, ხვლიკივით ცხენები, მკერდული[illegible] ძალა. თავიანთი ცხენების, მკერდების იმედი ჰქონდათ, აბხაზური ჯირითის გაპამპულება უნდოდათ.

ცხენებს და მხედრებს ეკლესიისაკენ აქნევინა ვახმისტრის პირი, თავად ალმაცერად წინ დაუდგა ასეულს. გამოვიდნენ კატასავით ტანმორჩილ ცხენებზე შემსხდარი აბხაზები. დაწინაურდა კაცი ზვამბაია, ერთ ორჯერ სხაპი აჭენევინა თავის ცირას, შემდეგ უეცრად შემოჰკრა ქუსლი, ეძგერა ორლოვის უშველებელ აჯილაზე მჯდარ ვახმისტრს და მიწაზე დაახოხა ცხენიც და ვახმისტრიც. მთელი ასეული გამოუდგა კაცი ზვამბაიას. ენგურამდის მისდიეს, შემდეგ კი კვალი დაეკარგათ ჭალებში.

მსოფლიო ომის დროს დნეპრის სახელდახელო ბონდზე გადიოდა რუსების კავალერია. „ველურ დივიზიას“ უბრძანეს პირველად გასვლა, რადგან ბონდი ძლიერ ყანყალებდა და თავს იზოგავდნენ „ურუსები“ ვაჟკაცი ის იქნება, ვინც ცხენდაცხენ გასცურავს დნეპრს წამოსცდა დივიზიის უფრ. ლიპარტიანს ამის თქმა მოასწრო ლიპარტიანმა და მის წინ მიმავალმა კაცი ზვამბაიამ შემოუქნია ცხენს მათრახი, გულდაგულ გადაგდო დნეპრში და სამშვიდობოს გავიდა უვნებლად.

აჩიგვარისა და სხვა ათას ჭირთამთმენ კაც ზვამბაიას ქართული წითელი კავალერიის უმცროს-მეთაურის წოდებამ.

„აჰჰაიტ მარჯა“ შემოსძახა მაშინ თავის ზერდაგს კაცი ზვამბაიამ, ავჟანდზე წამოდგა ისევ და მთელი ტანით გადმოუწვა (ცხენის კისრისაკენ და ქაჯივით მოსხლიტა ჭაკი. გადაავიწყდა მამას თავისი მამობა და ვაჟმა როგორც კი გაიგონა მძაფრი და ომახიანი „ყიუინი, თავადაც დაჰკივლა აბხაზურად და მამაცურად ისევ და ისევ აჭამა მათრახი ულაყს.

კაცი ზვამბაიას მზერას გაეცალა წინმიმქროლავი მხედარის სილუეტი ისევ წამოდგა ავჟანდზე და გაჭენდა ფეხკავშა ცხენი. აქ ვნესებდა სისინა ქარი ნაზამთრალი სიმინდის ღეროებს, მუსიკის ღმერთი—აიიელი, ამღერებდა თავის ღამეულ სიმღერას, ჩალის ღეროებს შორის გაბმულ უხილავ სიმებზე.

ენგური წინ გადაღდგომოდა შეჯიბრებულ მამას და შვილს. მეზობლის ჩამობნელებულ ქოხის წინ შეაყენა არზაყან ზვამბაიამ თავისი აქშენილი ცხენი. მთვარეც გამოსულიყო ღრუბლების ბნელ ჯებირებიდან, რძეში გავლებულ მეგრულ სულგუნივით თეთრი, ბარში მოვარდნილ ხარირემსავით მობღაოდა ენგური.

ენგური არც მტკვარს ჰგავს, არც რიონს, არ თუ ალაზანს. ენგური უფრო არაგვს ჰგავს, გაზაფხულის პირზე აზვავებულს. (აფსუს, ჯერაც რომ არ გვიქია ქართველ პოეტებს ენგური)!

მთვარე გულგრილად დასცქეროდა აბობოქრებულ ენგურს, მთვარე გულცივი და დარბაისელი, როგორც თავად სიბრძნე და სიჭარმაგე. ესაა მხოლოდ, სიჭარმაგე ყოველთვის როდია ცივი, ღვინო გამონელებოდა კაც ზვამბაიას, ცხენიდან ოფლში გაღვარულს, მაგრამ აღსდგა მის ძარღვებში ძველებურ აბხაზური ვაჟკაცობა (ასე აბორგდება ხოლმე თეთრი ენგური სვანეთის ლანჩქერებისაგან გახელებული).

— ჰეი, ცვარა, რას უცდი თუ იცი?

შეესიტყვა კაცი ზვამბაია მხედრის მდუმარე სილუეტს, ენგურის ფონზე მთლად გაშავებულს.

მოცდა აჯობებსო ამბობდა არზაყან, ასპიტივით დაგესლა ამ სიტყვებმა კაცი ზვამბაია. შენ მაგ გვარის მართვეს, ჯირითში აჯობა მამამ, ახლა ენგურისაგან მოელის გაშველებას, ვინძლო წყალში არ ჰქამოს სირცხვილი. და აღსდგა კაც ზვამბაიას გულში მამასა და შვილს შორის ოდითგანვე არსებული მტრობა.

---

*) აბსუა—აბხაზი, აფსნ—აფხაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკ. გაწერელია

„მოგონებანი დავით კლდიაშვილზე“

ს. კლდიაშვილის

ს. კლდიაშვილმა დასწერა კარგი წიგნი: „მოგონებანი დავით კლდიაშვილზე“. მასში ნაჩვენებია ადამიანი და არა მწიგნობარი ლიტერატორი.

წიგნში მოთხრობილია მწერლის მარტივი, მაგრამ ლამაზი ცხოვრების შესახებ. წიგნი დაწერილია მოხუც დავით კლდიაშვილზე.

„სოფელ სიმონეთში (იმერეთი) ცხოვრობდა „მორჩილი ტანის“ მოხუცი, ცხელი ჩაი და ოთახის მყუდროება მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. დაუდიოდენ ამ მოხუცს ხანშესული იმერელი აზნაურები—ისინი თითქოს იწვევდენ ძველ განცვიფრებებს, რომელთაც „ცხოვრებას ასე დახარბებული კაცი“ ღებულობდა თავისი სტუმრების ადრინდელი პროტოტიპებისაგან.

ს. კლდიაშვილს მოყავს ერთი დამახასიათებელი მომენტი: დავით კლდიაშვილის მამას ეწვევა „ძველი მეგობარი“, ტიპიური იმერელი აზნაური. დავითის მამა, სამსონი, უმასპინძლდება სტუმარს და „ორივენი დიდხანს ტრაბახობენ“. დავით კლდიაშვილი ყურადღებით უსმენს მათ

„თათიკო, დაღლილი ხარ, მოისვენე!—ეუბნება ნასადილევს დედაჩემი.

— ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხან!—არ დგება მამა—ასე მგონია ჩემი მოთხრობიდან მესტუმრენ!..

დახრილი თავი გრძელი თითების სვეტებზე დაუნდვია და თვალდახუჭული უსმენს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს“ (69).

წიგნში ენამახვილი დავით კლდიაშვილი არა ჩანს. მკითხველთა ფართო მასას კი მწერლის სახით **ინტელექტუალური კომიზმის** მქონე ავტორი ყავდა წარმოდგენილი.

რითი აიხსნება ეს?

დავით კლდიაშვილის კომიზმი უაღრესად **ემოციური ხასიათისაა**. თავის მოთხრობებში ის ოსტატურად აკავშირებდა ერთმანეთთან ტრაგიულ და კომიკურ მომენტებს, მოთხრობის დასასრულს კი მუდამ ეცემოდა ემოციური აქცენტი. სოლომონ მორბელაძე გასამრჯელოს მისაღებად მიდის თავისი ჯორით. იმერელი აზნაურის ტიპი ღიმილს იწვევს, მაგრამ მოთხრობის სასაცილო დასასრული მაინც არა გვაქვს.

დავით კლდიაშვილის მოთხრობების ემოციურ ტონს ხშირად ივიწყებდენ.

„მოგონებების“ ავტორი მოგვითხრობს:

„ქუჩაში გამაცნეს წკიპად ჩაცმული მოქალაქე. გალსტუკს ხშირად ჩაქაჩდა ალბად აწუხებდა.

— ხომ კარგად ბრძანდება ბატონი დავითი? არ მქონია შემთხვევა გამეცნო. წარმოდგენილი მაქვს რა საინტერესო იქნება მასთან საუბარი. **ალბად ერთობ ენამახვილი კაცია**. შეიძლება მოვიდე მასთან?

ერთ დღეს ეს მოქალაქე სრულიად მოულოდნელად დავითთან შემოვიდა. მამამ უცნობი თავაზიანად მიიღო, თითქო კიდეც გაუხარდა. მაგრამ სიხარული ხანმოკლე გამოდგა.

რამდენ სიტყვას იტყოდა დავითი, მოქალაქე იმდენს გაეცინებოდა. საცინარი არაფერი იყო, სტუმარი კი სიცილით იღრიჯებოდა.

უცბად მამა ადგა, ხერხეული ნაბიჯით კარისაკენ წავიდა და მეორე ოთახში გავიდა. მოქალაქე ერთხანს დავითის დაბრუნების მოლოდინში იყო, იგონებდა დავითის ნათქვამს და იცინოდა. უყურებდი და მიკვირდა. რა აცინებდა, ვერ გამეგო. **მამას ხუმრობა არასოდეს ჰყვარებია და არც ახლა უხუმრია...**

— მოვკვდი კაცი, აღარ შემიძლია მეტი! ბრიხინებდა მოქალაქე.

როცა მეორე ოთახში გავედი, მამა წარბშეკრული დავინახე.

— ვინაა ის ჩიტირეკია?—მეკითხება გაბრაზებული—მე არ გამოვალ, უთხარი წავიდეს!“ (69—71).

მაგონდება ჩეხოვთან მისული ქალები, რომელნიც მწერლის ყოველ სიტყვაზე იცინიან, თუმცა მასპინძელს ისეთი სახუმარო არაფერი უთქვამს. (გორკი—„ა. ჩეხოვი“).

ს. კლდიაშვილის მოგონებაში ხშირია მახვილი შტრიხები. სამსონ კლდიაშვილი (დავითის მამა), კიმოთე ავალიშვილი და სხვა აზნაურები კარგად არიან გადმოცემული მკითხველი მათ ხედავს.

ისინი ახასიათებენ დავით კლდიაშვილის პიროვნებასაც რომელიმე მხრით. მოგონებების ავტორი **დაპირისპირებასაც** მიმართავს: ბრგე მოყვანილობის აზნაური ღვინეფა და სუსტი დავით კლდიაშვილი, რომლის ოთახში ზაფხულობითაც ანთია ცეცხლი!

ან კიდევ:

„ორი ღრმად მოხუცი მწერალი, დავითი და ბარნოვი, რუსთაველის პროსპექტზე მუდამ დღე ხვდებიან ერთმანეთს, მიაბიჯებენ ისე თითქო ერთმანეთს შველიან. ტანმორჩილი დავითი მკლავში ჩააფრინდება ვასილს, თითქო **ჩამოეკიდა ზედ** და თითქო კიდეც ეხმარება ნაბიჯის გადადგმაში ფრთხილად მიმავალ ვასილს“. (82).

დავით კლდიაშვილის ფხიზელი აზროვნებისათვის უცხოა. რაიმე მისტიური ტონი. ის „ფართოდ გაღებული“ თვალებით უცქერის ბუნებას და ობიექტურ სამყაროს, მაგრამ თავის ყურადღებას არ აჩერებს არქაული წარმოდგენების ისეთ დიდ საგნებზე, როგორიცაა ღმერთი და ღმერთის არსებობა, დავით კლდიაშვილს ეკითხებიან ამ უკანასკნელზე და ათეისტიც საყვედურის კილოთი უპასუხებს:

— „რატომ მეკითხები მაგას? რას ჩამაცივდი მაგ ღმერთით? **მაგითი გინდა მანუგეშო?**

მის სახეზე ღიმილი დავინახე, რომელშიაც საშინელი ტკივილი იყო“ (44).

ს. კლდიაშვილს კარგად აქვს გაგებული მამის მოწოდება:

„ხანდახან დავითს უნდა მორალისტის როლში გამოვიდეს, მაგრამ უჩინარ ხელს ყოველთვის გამოჰყავს შესაძლებელი ხიფათისაგან: სად იმერეთი და სად მშრალი მორალი! იმერეთი ჭინკობას ჩემულობს. იმერელს თავი ჭინკად მიაჩნია. არც ერთ იმერულ ზღაპარში დევი არაა... ასეთ ჰიპოპოტამებს უყვართ კახეთის ქონი. იმერეთის ტყემალი და კვანწარახი მხოლოდ ჭინკას საწუწკარია“ (43).

„მოგონებანი დავით კლდიაშვილზე“ გადმოგვცემს ამ **კოლორიტს**.

ავტორს განსაკუთრებით ემარჯვება მოხუცი აზნაურების გარეგნობის აღწერა. მკითხველს აგონდება, რომ ს. კლდიაშვილი ამ აზნაურების შესანიშნავი მხატვრის შვილია.

ს. კლდიაშვილი ბუნებრივი და ჩვეულებრივი ხმით ლაპარაკობს, როგორც დიდ, ისე მცირე საგნებზე. დავით კლდიაშვილის გარდაცვალებაც ამ ხმით არის მოთხრობილი. სამაგიეროდ იგრძნობა მოქანცულობის ატმოსფერა.

რამდენიმე შენიშვნა მაინც შეიძლება მივცეთ ავტორს, ჯერ ერთი. „მოგონებანი“ ეხება უმთავრესად დ. კლდიაშვილის ცხოვრების უკანასკნელ დღეებსა და მოხუცებულობის პერიოდს, ნაწილობრივი გადახვევანი მხედველობაში არ მიიღებიან, ყოველ შემთხვევაში ისინი მკრთალად მოჩანან თხრობის საერთო ფონზე. წიგნის პირველი ნაწილი არ არის დაწერილი.

ს. კლდიაშვილს შეეძლო მეტი მასალების შეტანა. თუნდაც 1920—30 წლები ამისთვის საკმაო იქნებოდა. (ვგულისხმობ არა ეპიზოდების სიუხვეს, არამედ შთაბეჭდილებათა მარაგს და ლიტერატურული ყოფის მოვლენებზე დავით კლდიაშვილის მოსაზრებების მოყვანას). მაგ. ამ წიგნში დავით კლდიაშვილი კითხულობს ამერიკელი მწერლის თეოდორ დრაიზერის რომანს. მაგრამ ხომ კითხულობდა თანამედროვე ქართველ მწერლებსაც?

ს. კლდიაშვილს მოყავს მამის აზრი პშიბიშევსკის შესახებ, მაგრამ არ არის ჩაწერილი მისი შეხედულებანი თანამედროვე ქართველ ავტორებზე. იქმნება ისეთი შთაბეჭდილებაც, თითქოს ს. კლდიაშვილს ასეთი ადგილები თავდაპირველად ჰქონებია, ხოლო შემდეგ ამოუშლია.

შეიძლება მწერალი ულმობელი იყო დახასიათებისას. ამის უფლება დ. კლდიაშვილს ჰქონდა: მას არასდროს **„ტყუილი არ უთქვამს!“**

ს. კლდიაშვილმა არ ჩასწერა, ყოველშემთხვევაში—არ დაბეჭდა. საჭირო კი იყო.

„მოგონებანი დავით კლდიაშვილზე“ იკითხება ინტერესითა და ხალისით. კარგია წიგნში მოთავსებული ფანქრით ნახაზი სურათები—ს. შანშიაშვილის „დ. კლდიაშვილი“ და სხვები.

„რომანტიული ამბავი“

გამოვიდა **პანტელეიმონ ჩხიკვაძის** მოთხრობა **„რომანტიული ამბავი“ ამხ. პ. ქიქოძის** წინასიტყვაობით. გამოცემა სახელგამის.

სრულიად საკავშირო მუსიკალურ კონკურსის შედეგები

მაისის ბოლო რიცხვებში მოსკოვში დამთავრდა მუსიკალურ ნაწარმოებთა შემსრულებლების სრულიად საკავშირო კონკურსი, რომელიც უაღრესად კულტურულ პოლიტიკურ მოვლენად გადაიქცა, რადგან კონკურსმა, რომელშიაც საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აღზრდილი და გაწვრთნილი მუსიკოსები, შეაჯამა საბჭოთა მუსიკალურ პედაგოგიურ ძალების ხუთმეტი წლის ნამუშევარი და ცხადჰყო მუსიკალურ ნაწარმოებთა შესრულების კულტურის უდიდესი მიღწევები და აყვავება.

კონკურსის ას-ასი მონაწილედან ჟიურიმ დასაჯილდოებლად გამოჰყო 52. კონკურსების ისტორიაში არნახული და გაუგონარი ფაქტია ამდენი მონაწილეთა დაჯილდოვება. ეს თავისთავად ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის მუსიკალური კულტურის უმაღლეს დონეზე. კონკურსმა გვიჩვენა აგრეთვე, რომ ჩვენში იქმნება შესრულების ახალი სტილი — სიცოცხლით სავსე, სალი, გამამხნევებელი, ღრმად იდეური და შინაარსიანი.

კონკურსზე თავი ისახელეს ამიერ-კავკასიის ახალგაზრდებმა, რომლებიც მონაწილეობდენ ვიოლონჩელის ჯგუფში, — პროფ. **მინიარის** მოწაფეებმა — **ცომიკმა და ფურკელმანმა** (თბილისი) რომლებმაც მიიღეს პირველი და მეორე პრემიები, **აივაზიანმა** (ერევანი) მიიღო მესამე პრემია.

იშვიათი შთაბეჭდილება დასტოვეს მსმენელებზე და ჟიურიზე კონკურს გარეშე გამოსულმა ნორჩმა ვირტუოზებმა, რომელთაგან ყველაზე უმცროსი ცხრა წლისაა და უფროსი — 15 წლისა. საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებით ნორჩი შემსრულებელნი დაჯილდოვებული არიან, რაც მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობას და იშვიათ ყურადღებას ნორჩი ნიჭიერი მუსიკოსებისადმი, რომლებიც ფრთხილი მოპყრობის პირობებში საბჭოთა ქვეყნის სიამაყე გახდებიან.

საბჭოთა კავშირში

აზერბეიჯანის აგიტბრიგადა ოლიმპიადაზე

მოსკოვის გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ გამარჯვებას, რომელიც რევოლუციონური თვითმოქმედ თეატრების საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოიპოვა ბაქოს შოფერების თურქულმა აგიტბრიგადამ.

„აზერბეიჯანელ თვითმოქმედ შოფერების მხატვრული მუშაობის გამოფენა, — სწერს „პრავდა“, — ეს არის ისეთი ბუნებრივი ტემპერამენტის აფეთქება, რომელიც უნებლიეთ გვაგონებს ნავთის შადრევანს. თურქულ წარმოდგენაში განცვიფრებსა და გახარებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა: მხატვრული ხერხების დაკავშირება ძირეულ ნაციონალურ ხელოვნებასთან. აქ ჩანს ტიკინების თეატრის „კარაგეზის“ და სპარსული ლუბოკის გავლენა. ყოველივე ეს მსახიობთა ჟესტს აძლევს არაჩვეულებრივ ექსპრესიას, ხოლო სიტყვას — მკაფიო გამომხატველობას.

ტაჯიკური სიმფონიური ორკესტრი

ქ. ხოჯენში (ტაჯიკისტანი) ჩამოყალიბდა პირველი ტაჯიკური სიმფონიური ორკესტრი, რომელიც **შესდგა 50 მუსიკალურ** ინსტრუმენტებისაგან. უკანასკნელ დრომდე ტაჯიკური მუსიკალური ინსტრუმენტები — დუფარა, სუნაი, თამბური და სხვა არ იყვნენ შეგუებული ნოტებზე გადატანილი მუსიკალურ ნაწარმოებებს, ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ტაჯიკელ მუსიკოსებმა მოახერხეს ამ ინსტრუმენტების ბგერადობის დიაპოზონის გაფართოება და შევსება, რამაც შესაძლებელი გახადა პირველი ტაჯიკური ნაციონალური ორკესტრის შექმნა.

დაღესტანის მხატვართა პირველი გამოფენა

დაღესტანის საბჭოთა მეორე ყრილობის გახსნის დღეს 15 ივნისს მახაჩკალაკალაში გაიხსნება დაღესტნელ მხატვართა ნამუშევრის პირველი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრობა და სკულპტურა.

დრამატურგი ვს. ვიშნევსკი ტფილისში

შუა მაისიდან ივნისამდე ტფილისში იმყოფებოდა დრამატურგი ვს. **ვიშნევსკი**, რომელსაც ჰქონდა რამოდენიმე საქმიანი შეხვედრა საქართველოს საბჭოთა მწერლებთან და დრამატურგებთან.

ორ ივნისს ამხ. ვს. ვიშნევსკიმ საბჭოთა მწერლების, მხატვრების და ხელოვნების მუშაკთა წრეში გააკეთა ვრცელი მოხსენება საბჭოთა დრამატურგიის და თეატრის საკითხებზე. მოხსენება დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი და გამოიწვია ცხარე კამათი. შემოქმედებითი თათბირი დამთავრდა შემდეგი პრაქტიკული დასკვნების მიღებით: 1. დამუშავდეს საკითხი საუკეთესო ქართული პიესების საბჭოთა რუსეთის სცენებზე დადგმის შესახებ, 2. შემოღებული იქნეს პრაქტიკაში საქართველოს ლიტერატურის და თეატრის მუშაკთა შემოქმედებითი გამგზავრება მოსკოვსა, ლენინგრადსა და სხვა ქალაქებში და რუსეთის ლიტ. და თეატრის მუშაკთა — საქართველოში; 3. მოწესრიგდეს ინფორმაციის სისტემატიური მიწოდება ლიტერატურული ცხოვრებისა და ხელოვნების შესახებ პერიოდიულ გამოცემისათვის („ლიტერატურნაია გაზეტა“, „სოვეტსკოე ისკუსტვო“, „თეატრი დრამატურგია“ და სხვებისათვის).

ფაბრიკა-ქარხნების ისტორიისათვის

(ძველ მუშების მოგონების საღამო)

29 მაისს მეტყავეთა კლუბში გაიმართა ყოფ. ადელხანოვის ფაბრიკა-ქარხნების ძველ მუშათა მოგონების საღამო.

მოგონების საღამოს დაესწრო სტალინის ინსტიტუტის ბრიგადა, რომელსაც თან ახლდენ სტენოგრაფისტები.

კრება გაიხსნა ნაშუადღევის **4 საათზე**. ბრიგადის წევრებმა ამხ. **შ. ცაგარეიშვილმა, გრ. ცეცხლაძემ**, და **ი. შახდინაროვმა**. კრებას მოკლე სიტყვებით გააცნეს ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შექმნისა მნიშვნელობა და ის საკითხები, რომლის შესახებაც უნდა ილაპარაკონ მოგონების ავტორებმა.

შემდეგ მოგონებისათვის სიტყვები ეძლევათ ძველ მუშებს.

ისინი დამსწრეთა წინაშე შლიან მეფის დროინდელ მუშათა ყოფა-ცხოვრების შავბნელსურათებს: გვიხატავენ ქარგლების და მცირეწლოვან შეგირდების მონურ მდგომარეობას, მათ უმოწყალო ექსპლოატაციას; აღფრთოვანებით ყვებიან კაპიტალისტებისა და მეფის მთავრობის წინააღმდეგ, რევოლიუციონური პროლეტარიატის გმირული ბრძოლების ამბებს.

ზოგს ხანდახან ეშლება, თარიღებს აურევს,—ამხანაგები უსწორებენ, ხან ეს შესწორებები იწვევენ დავას. ზოგი ასწრებს შემთხვევას, მაგრამ როდის მოხდა, რომელ წელს არ აგონდება და ღიმილით ამბობს: „წელიწადი არ მახსოვს, 70 წლისა ვარ, მაშინ 30 წლისა ვიყავი, ეხლა თქვენ გამოანგარიშეთ“—მიმართავდა ბრიგადას.

ყოველი ახალი მოლაპარაკის გამოსვლა მუშათა კლასის ბრძოლების ისტორიის ახალ ფურცლებს შლის, ყველას უნდა ილაპარაკოს, ჩაერიოს საქმეში, მაგრამ გვიანაა — დღეს ველარ მოასწრებენ ლაპარაკს ყველა მსურველები.

კრება ადგენს ერთხელ კიდევ შეიკრიბონ.

ბრ.

უცხოეთი

რაინერ მარია რილკეს დღიურები

გამოქვეყნდა რაინერ მარია რილკეს დღიურები, რომელშიაც თავმოყრილია მისი ახალგაზრდობის დროინდელი ჩანაწერები. აგრეთვე—მიწერ-მოწერა მეგობრებთან, კლარა ვესტგოფთან (სიყვარულისა და ქორწინების ხანა), რუსეთში მოგზაურობის პერიოდის უბის წიგნაკები და სხვ.

გერმანიაში ამ პოეტის შესწავლის ინტერესი ბოლო ხანებში განსაკუთრებით გაძლიერდა. იცემა მონოგრაფიები, მოგონებები და საუბრები. ამიტომაც მკითხველს აქ ვაწოდებთ მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს.

რაინერ მარია რილკე დაიბადა 1875 წელს. აღიზარდა პრაგაში, გერმანელი აზნაურის ოჯახში. ახალგაზრდობაშივე დაეტყო განმარტოებისა და უმეგობრობისადმი მიდრეკილება. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უახლოვდება გამოჩენილ ფრანგ მოქანდაკე **ოგიუსტ როდენს**, რომელთანაც ის პირადი მდივნის მოვალეობას ასრულებდა რამდენიმე წლის განმავლობაში. (თვითონ რაინერ მარია რილკემ შემდეგ გამოსცა თავისი მოგონებანი როდენზე).

რაინერ მარია რილკეს თავისებური ლირიკის ლეიტმოტივია: ღრმა ინტიმობა, მარტოობის მელანქოლიური განცდა და უკიდურესი სუბიექტივიზმი. „მხატვარია ის, ვინც საკუთარ თავში ატარებს რაღაც ულრმესად ინტიმურს, რომლის სხვებისადმი გაზიარება მას არ შეუძლია“—აი ამ პოეტის დევიზი.

მუსიკალური მხარე რილკეს ლექსებისა გასაოცარია. ცნობილმა კომპოზიტორმა ბუზონმა ერთს თავის სიმფონიას ასეთი მიძღვნა წაუმძღვარა: „სიტყვის მუსიკოსს რაინერ მარია რილკეს“.

თავისი შემოქმედების ბოლო ხანებში რილკე სიმბოლისტურ ნისლიანობას თავს აღწევს და როდენის ქანდაკებათა ზეგავლენით პლასტიური ხედვის ოსტატად გვევლინება. პოეტის განცხადებით „საგნები უახლოვდებიან მას, სახეები სიმკაფიოვეს იძენენ“. ამ ახალი ძიებების შედეგი იყო მისი ლირიული კრებული: „სურათების წიგნი“. ადრინდელი შედევრები კი თავმოყრილია წიგნებში: „მირ ცურ ფაიერ“, „ნოიე გედიხტე“, „დას შტუნდენბოხ“, „დას მარიენლებენ“ და სხვ. რაინერ მარია რილკე გარდაიცვალა 1928 წელს.

რუსულ პოეზიაში მის უშუალო ზეგავლენას განიცდის პოეტი ბორის პასტერნაკი, რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე რაინერ მარია რილკეს ცნობილი პოემის—„რეკვიემის“—კარგი თარგმანი.

დასასრულ: თუ რამდენადაა გაცხოველებული ინტერესი რილკეს პოეზიის და პიროვნებისადმი, ამას მოწმობს უკანასკნელ წლებში გამოსული შრომების მთელი ციკლი: ჰ. ვ. ჰაგენის „რილკეს გარდაქმნა“, მ. ბაუერის: „რ. მ. რილკე და საფრანგეთი“, ვ. ერრანტის: „რილკე“ და მრ. სხვ.

ქართულად რილკეს შესახებ არაფერი დაწერილა. ხელოვანთა სასახლეში წაკითხული იყო **კონსტ. გამსახურდიას** მოხსენება მისი შემოქმედების შესახებ.

„სტრავინსკი“

ჰ. ფლაშერის (გერმანელი ისტორიკოსი მუსიკის დარგში) ეს წიგნი მიზნად ისახავს ცნობილი რუსი კომპოზიტორის შეფასებას. წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი იგორ სტრავინსკის ნოვატორობის წაკითხვს (კერძოდ რიტმიკაში). ავტორი მრავალი მაგალითებით ამტკიცებს იმ სიახლეს, რომელიც ამ კომპოზიტორმა შეიტანა მუსიკალური თემების ტრაქტოვკაში, განსაკუთრებით „მელოდიური არშიებისა“ და დისონანსების ვარიაციათა მხრით.

„მეტერლინკი“

გამოვიდა ფრანგი ესაისტის **ავგუსტ ბაილის** წიგნი მეტერლინკზე, რომელიც მწერლის პიროვნებისა და შემოქმედების ყოველმხრივი დახასიათების ცდას წარმოადგენს. ესაისტის აზრით, ცნობილი სიმბოლისტის შემოქმედების მთავარ ნაკლს წარმოადგენს ყოველდღიური მეშჩანობისა და მისტიციზმის შეთავსება, ამასთანავე ბაილი დაწვრილებით მოუთხრობს მკითხველებს მეტერლინკზე, როგორც თავისი დროის ახალი მორალის მოციქულზე და იშვიათ სტილისტზე.

რომანი სოციალურ თემაზე

გერმანიაში საკმაოდ ბევრი რომანი იბეჭდება სოციალურ თემებზე. მათი ავტორები მეტწილად „ნეიტრალური“ თვალსაზრისით აშუქებენ იმ კონფლიქტებს, რომელთაც საზოგადოებრივ ყოფაში აქვთ ადგილი. ხშირია ბანალური ფსიქოლოგიზმი, რომელიც მხედველობიდან უშვებს გმირების სულიერი ვითარების განმსაზღვრელ ობიექტურ პირობებს.

ახალგაზრდა პოეტის, **ვალტერ ბაუერის** პირველი ბელეტრისტული ნაწარმოები **„კაცი მიიწევს ქალაქისაკენ“**—ხსენებული ტიპის რომანების ჯგუფს ეკუთვნის. მასში გადმოცემულია ერთი ოჯახის უბედური ისტორია: ახალგაზრდა გლეხმა დასტოვა სოფელი იმ მიზნით, რომ ქალაქში უფრო კარგად მოეწყობილიყო. აქ ის განიცდის უმუშევრობასა და აუტანელ მატერიალურ კრიზისს, რასაც მოჰყვება ცოლშვილის ფიზიკური განადგურება და სხვა „ადრე მობერება“.

მიუხედავად თემის სოციალურისიმახვილისა, ავტორი არავითარ ლოღიკურ დასკვნებს არ აკეთებს. ნაწარმოებში, არ ჩანს პროტესტი არსებული საზოგადოებრივი ყოფის ფორმების მიმართ და ბელეტრისტი თვითმიზნურ ფსიქოლოგიურ ანალიზითაა გართული.

„პატრიოტები“

პოლ ჰაინცის რომანის კანვად გამოყენებულია მოლაპარაკებანი იუნგის გეგმის გარშემო, რომელნიც მიმდინარეობდნენ პარიზში 1929 წელს. ავტორი ამჟღავნებს სოციალ-დემოკრატიის გამცემლურ როლს. მათი მოთხოვნის თანახმად ექსპერტების კომისიაში გაყვანილ იქნენ მძიმე მრეწველობის წარმომადგენლები, რაიც ცხადყოფს ამ პარტიის პოლიტიკის დაქვემდებარებას ინდუსტრიული ბურჟუაზიის ეკონომიური ინტერესებისადმი. რომანი დაწერილია ავტორისათვის ჩვეული გონებამახვილობითა და ოსტატობით. საბჭოთა მკითხველისათვის ის საინტერესო საკითხავს წარმოადგენს.

„მე-19 და მე-20 საუკუნეების ხელოვნება“

გერმანიაში ქანდაკების, მხატვრობის და ხუროთმოძღვრების ისტორია ბურჟუაზიული მკვლევარების მიერ დამუშავებულია უთვალავი მონოგრაფიებისა და შრომების სახით. ვილკელმანის კლასიკური წიგნის გამოქვეყნებიდან დღემდე დაუსრულებლად იცემა ახალი „მიმოხილვები“, „ისტორიები“ და „შტუდიები“. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის კოლოსალური სიდიდის მიუხედავად ისინი არ არიან დაზღ. მეთოდოლოგიური სიმარტივისა და ტრაფარეტისაგან. უკანასკნელ ათეულ წლებში გამოიცა მხოლოდ რამდენიმე შესანიშნავი გამოკვლევა: **ვილჰელმ ვორინგერის „გოტიკის ფორმის პრობლემები“** და **„აბსტრაქცია და შეგზნება“, ჰაინრიხ ვიოლფლინის „ხელოვნების ისტორიის მთავარი ცნებანი“, ვ. ჰაუზენშტაინის: „ხელოვნება და საზოგადოებრიობა“**. პირველი ორი ავტორის შრომები ხშირად ლიტერატურის ისტორიკოსებზედაც ახდენენ ზეგავლენას (მაგ., ლიტერატურის ცნობილი ისტორიკოსი ოსკარ ვალცელი იზიარებს ქანდაკებისა და მხატვრობის სტილების ვიოლფლინისებურ დაყოფას „ტექტონიკურ“ და „ატექტონიკურ“ კატეგორიებად).

ლიხტენბერგეს „მე-19 საუკუნის ხელოვნების ისტორია“ კი თეორიული სიახლის თვალსაზრისით არაფერს ახალს და არსებითს არ შეიცავს. წიგნში ამ საუკუნეთა ხელოვნების ევოლიუციის ეტაპების დაგენა საკმაოდ ტრადიციული ელფერს ატარებს.

ლიტქრონიკა

◆ **ლექსთა კრებული.** გამოვიდა **ილ. ხოშტარიას** ლექსთა კრებული, წიგნი მეორე. გამოცემა „სოცკულტური“-ს საზოგადოების სოც. განყოფილების. ფასი 1 მანეთი და 40 კაპ.

—:—

„პირისპირ“

დაიბეჭდა და ახლო ხანში გამოვა **ალექსანდრე ქუთათელის** რომანის **„პირისპირ“** პირველი წიგნი. რომანში აღებულია 1917—18 წ. ავტორს გამოყენებული აქვს სოციალურ ფონზე გაშლილი სამხედრო-ისტორიული მასალა: სამოქალაქო ომი საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, შამქორის ტრაღედია, მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში და ომი ოსმალეთთან. ნაწარმოები თავდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით და იმპერიალისტურ გერმანიის ჯარების შემოსვლით. გამოცემა სახელგამის.

◆ **„გუშინ და დღეს“**. რედაქციამ მიიღო **ლევან ანანიაშვილის** ლექსების წიგნი: „გუშინ და დღეს“.

◆ **„ფაზისი“**. ქუთაისში ახლო ხანში ცალკე წიგნად“ გამოვა **შ. ჩარკვიანის** [illegible] „ფაზისი“. თემა რიონჰესის მშენებლობა.

◆ **ლექსების ლაშქრობა“** გამოვიდა და იყიდება **კალე ბობოხიძის** წიგნი: **„ლექსების ლაშქრობა“**. გამოცემა სახელგამის. ფასი 1 მან. 50 კაპ,

სარედაქციო კოლეგია:
დ. დემეტრაძე (პ.-მგ. რედაქტორი), რ. გვეტაძე (პ.-მგ. მდივანი), შ. დუდუჩავა, ნ. მიწიშვილი, ს. თალაკვაძე, ნ. ზომლეთელი, ლ. ქიაჩელი, ბ. ჟღენტი.
გამომცემელი: „ფედერაცია“.

სამხატვრო ლიტერატურა სახელგამში

(1933 წლის გეგმა)

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში შესახებ მხატვრული მწერლობის დარგში გამოსაცემ წიგნებისა, სამხატვრო ლიტერატურის სექტორის გამგემ ამხ. **ნ. მიწიშვილმა** მოგვაწოდა შემდეგი ცნობები:

საბოლოოდ ჩამოყალიბდა **სახელმწიფო** გამომცემლობის სამუშაო გეგმა 1933 წლისათვის. დეკემბერში დამტკიცებული საგამომცემლო გეგმა, რომელიც საფუძვლად ქონდა დადებული სახელგამის მუშაობას დღემდე, გადამუშავებული იქნა თანახმად სადირექტივო ორგანოების მითითებისა და თვითეულ სალიტერატურო დარგს დაუმტკიცდა ქაღალდის ახალი ლიმიტი, რომლის მიხედვით სექტორს მიეცა 1.500.000 ფურცელი ქაღალდი (ანაბეჭდი).

ამ ქაღალდის ფონდის ნიადაგზე დამუშავდა სექტორის თემატიური გეგმა. გეგმაში შევიდა მხოლოდ ის წიგნები, რომელნიც წლის ბოლომდე იქნება გამოცემული.

გარდა ამისა, დამტკიცებულია სექტორის სარედაქციო გეგმა, ე. ი. იმ წიგნთა სია, რომელიც მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა იქნეს დამუშავებული, რათა მათი სტამბებში გადაცემა შესაძლებელი იქნეს 1934 წლის 1 იანვრიდან.

წელს დასაბეჭდი წიგნების დიდი რაოდენობა უკვე დამზადებულია და მათი სტამბებში გაგზავნა დამოკიდებულია პოლიგრაფიულ შესაძლებლობასთან; ამ მხრივ საქმე რამოდენიმედ გართულებულია სახელმძღვანელოების ბეჭდვით, ვინაიდან თითქმის ყველა სტამბები სახელმძღვანელოებითაა დატვირთული.

მიუხედავათ ამისა, დღეს სტამბებში მოთავსებულია სამხატვრო ლიტერატურის დარგიდან 24 წიგნი. ამ წიგნების ბეჭვდას დასჭირდება 900.000 ნაბეჭდი ფურცელი (სექტორს სულ მიცემული აქვს 1.500 ათასი).

ამრიგად სამხატვრო ლიტერატურის საწარმოო გეგმა წელს გადაჭარბებით შესრულდება და მისი შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ ზრდის მხრივ, ვინაიდან გეგმის ნახევარზე მეტი დაიბეჭდება მეორე კვარტალის განმავლობაში.

რ. კალაძე—მოგონებანი, **ბ. ბიბინეიშვილი**—ახჩაკუიმის ტრაგედია, **ლ. მეტრეველი**—ანდაზები.

—:—

თანამედროვე თარგმნითი მწერლობა

ვ. სტავსკი—გაქანება, **შ. სოსლანი**—ცხენი და ქეთევანი, ვ. **კამენსკი**—პუგაჩოვი მიკიტენკო—ანათეთ ვარსკვლავნო, **გირჩაკ**—პლაცდარმი, **პოლიტენკო**—მოთხრობები. სომხური მწერლობა—სამი წიგნი თურქული მწერლობა—ორი წიგნი, **ანდრე ჟიდ**—მოგზაურობა კონგოში, **ბ. კელერმანი**—გვირაბი, **ჯ. ლონდონი**—მარტინ იდენ.

—:—

პიესები

რ. ქორქია—ბრძოლის გზები.
გ. ბუხნიკაშვილი — პიესები.
ს. ერთაწმინდელი — საბჭოთა ნავთი.
დარისპანაშვილი — ბრძანება № 104.

—:—

მოგზაურობანი, აღწერანი, მემუარები

ბოროზდინი — კავკასიის მოგონებანი,
შარდენი — მოგზაურობა საქართველოში

ცხოვრება იესე ოსეს ძისა.

კრიტიკა ხელოვნება

შ. დუდუჩავა—ქართული კინეატოგრა-
ბესკო — თოლია.
პროფ. **ჩუბინიშვილი**—ქართული ხელ. ისტორია.

კ. მელაძე —თანამედროვე ქართული მწერლობა.

მზადდება 1934 წლისათვის

ს. აბაშელი —ქალი სარკეში (რომანი).
ს. შანშიაშვილი—რჩეული ნაწერები.
ბ. ჟღენტი—ქართული მწერლობა (კრიტიკა).
კ. გამსახურდია—გოეტეს ცხოვრება.
მ. სალტიკოვი-შჩედრინი—რჩეული ნაწერები.
ა. პუშკინი—ევგენი ონეგინი.
სტენდალი—წითელი და შავი.
ბაირონი—ჩაილდ ჰაროლდი.
მ. სერვანტესი—დონკიხოტი
ჰომიროსი—ოდისეა
პრევო—მანონ ლესკო.
ალ. ტოლსტოი—პეტრე პირველი
ბესკო — თოლია.
ჯ. დოსპასოს—24 პარალელი.
ს. ამაღლობელი—ნაც. ფორმის საკითხები
ა. ჯაჯანაშვილი—სოფელი (რომანი).
ა. ანტონოვსკაია—დიდი მოურავი.
შ. ამირანაშვილი—ქართ. ხელოვნების ისტორია.
მისივე —სპარსული მხატვრობა.
ხალხური მუსიკა—(კრებული).
ვ. შკლოვსკი—მოთხრობები.
აფხაზეთის მწერლობა—(კრებული).
ა. პუშკინი—ბრინჯაოს მხედარი.
ა. პავლენკო—ბარიკადები.
ზიმროკი — თქმულება ნიბელუნგებზე.
გ. ნომორაძე—შევჩენკოს ბიოგრაფია.
ა. დანტე—ღვთაებრივი კომედია (სალხინებელი).

ქართველი პროზაიკოსები

კ. ლორთქიფანიძე—ძირს სიმინდის რესპუბლიკა, პ. ჩხიკვაძე—რომანტიული ამბავი, პ. სამსონიძე—პირველი ქარტეხილი, მ. ჩიქოვანი—მოთხრობები, ს. თალაკვაძე—მოთხრობები, მიხ. ჯავახიშვილი— თხუზულებანი, დ. შენგელაია—ბათა ქექია, ნ. ლორთქიფანიძე—რჩეული ნაწერები, ალ. ქუთათელი—განთიადის წინ, შ. დადიანი—რჩეული ნაწერები, კ. გამსახურდია—დიონისოს ღიმილი, რ. გვეტაძე—თეო, ს. კლდიაშვილი—სვანური მოთხრობები, ან. ერისთავ-ხოშტარიასი—რჩეული ნაწერები, ს. დოლიძე—რევოლუციიდან რევოლუციამდე

—:—

1933 წელს გამოვა შემდეგი წიგნები

ქართველი პოეტები

ფრ. ნაროუშვილი—ორი მისამართი, კ. ბობოხიძე—ლექსების ლაშქრობა, გ. კაჭახიძე—რჩეული ლექსები, ი. ვაკელი—პოემები, კ. კალაძე—ლექსები, კ. ლორთქიფანიძე—ლექსები, ალ. მაშაშვილი—ლექსები, ი. ლისაშვილი—ლექსები, ტ. ტაბიძე—ლექსები, ს. ჩიქოვანი—ლექსები, ს. შანშიაშვილი—ლექსები.

—:—

კლასიკოსები

ვაჟა-ფშაველა—ტ. 5.
მ. ლერმონტოვი—ჩვენი დროის გმირი.
ა. პუშკინი—კაპიტანის ასული.
ჩ. დიკენსკი—დავით კოპერფილდი.
ა. დანტე—ღვთაებრივი კომედია (ჯოჯოხეთი).
ლაზარილდო—ტორმესელი.

—:—

ნარკვევები, გამოკვლევები, მონოგრაფიები

ს. ჩიქოვანი—სვანეთი.
ტ. ტაბიძე—ახალი კოლხიდა
ი. გრიშაშვილი—ალ. ჭავჭავაძე.
ნ. მიწიშვილი—მწერლობის აქტ. პრობლემები.

სიტყვა კაზმული მწერლობა
იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

მიხ. ჯავახიშვილი — თხუზულებანი ოთხ-ტომად (ტომ. 1-ლი დაიბეჭდა.
ნ. ლორთქიფანიძე — რჩეული ნაწერები ოთხ-ტომად (1 და 2 დაბეჭდილია).
ალ. ქუთათელი — „პირის პირ“ (რომანი) დაიბეჭდა.
დ. შენგელია — „ბათა ქექია“ (რომანი) დაიბეჭდა.
კ. ლორთქიფანიძე — „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“ (იბეჭდება.
პ. ჩხიკვაძე — „სართულები“ (რომანი) დაიბეჭდა.
პ. ჩხიკვაძე — „რომანტიული ამბავი“ (მოთხრობა) დაიბეჭდა.
ვ. სტავსკი — „გაქანება“ (რომანი) დაიბეჭდა.
კ. ლორთქიფანიძე — ლექსები (დაიბეჭდა).
ციტიან ტაბიძე — ლექსები (იბეჭდება).
ლ. ასათიანი — „ვოლტერიანობა საქართველოში“ (მეც. გამოკვლევა, იბეჭდება)
ფრ. ნაროუშვილი — „ორი მისამართი“. ლექსები (იბეჭდება).
დანტე ალიგიერი — „ღვთაებრივი კომედია“ (ჯოჯოხეთი) კ. გამსახურდიას და კ. ჭიჭინაძის თარგმანი (დაიბეჭდა).
ვ. კოტეტიშვილი — ხალხური პოეზია ტ. 2 (იბეჭდება).
ფეშანგი — „შახნავაზიანი“ მე-17 საუკუნის ქართული პოემა. ჯერ გამოუქვეყნებელი. გიორგი ლეონიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით (დაიბეჭდა).
იონა ვაკელი — „პოემები“ (იბეჭდება).
შ. დუდუჩავა — „ნაციონალური კინემოტოგრაფიის გზები“ (იბეჭდება).
ალ. გომიაშვილი — „ისევ ეძახიან გერმანიას“ (დაიბეჭდა).
პ. ინგოროყვა — ძველი ქართული კალენდარი“ (იბეჭდება).

სახელგამი
გამოდის ხელის მოწერით

მიხეილ ჯავახიშვილი
რჩეული ნაწერები ოთხ ტომად
თვითეული ტომი შეიცავს არა ნაკლებ 400 გვერდისა (დიდი ფორმატის) მხატვრულ ყდაში.
ტომი პირველი — უკვე დაიბეჭდა და გამოვა ივნისის დამლევს: ტომს დაერთვის ავტორის სურათი მხატვ. ი. შტენბერგის მიერ შესრულებული.
შინაარსი: ჩანჩურა. უპატრონო. მეჩეჭმე გაბო. კურკას ქორწილი, ეშმაკის ქვა. ტყის კაცი. ყბაჩამ დაიგვიანა. მართალი აბდულა. მუსუსი. ლამბარო და ყაშა. ოქროს კბილი. ორი განაჩენი. პატარა დედაკაცი. ხუთის ამბავი. გვ. 464.
ტომი მეოთხე — „არსენა მარაბდელი“. მდიდრულად დასურათებული მეორე გამოცემა. გამოვა პირველი ტომის შემდეგ ა. წ. დამლევამდე. მხატვრობა შესრულებულია პროფ. შარლემანის მიერ.
მეორე და მესამე ტომში შევა — „ჯაყოს ხიზნები“. „თეთრი საყელო“, „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და სხვ.
ხელის მოწერის პირობები. ხელის მოწერა სწარმოებს ოთხივე ტომზე. ხელის მოწერისას შემოტანილი უნდა იქნას 10 მან რაც ხელის მომწერს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშში. შემდეგში ხელის მომწერელი გადაიხდის თვითეული ტომის ნომინალურ ღირებულებას — წიგნის ჩაბარებისას.
ხელის მოწერის გარეშე გამოცემა ეღირება გაცილებით უფრო ძვირი. ტირაჟი განსაზღვრულია.

ნიკო ლორთქიფანიძე
რჩეული ნაწერები ოთხ ტომად
თვითეული ტომი შეიცავს არა ნაკლებ 300 გვერდისა (მცირე ფორმატის) მხატვრულ ყდაში. გამოცემა მთლიანად — ოთხივე ტომი — დასურათებულია ორ ფერად მხატვ. ი. შტენბერგის მიერ. პირველ ტომს დაერთვის ავტორის სურათიც.
ტომი პირველი — „დანგრეული ბუდეები“. უკვე დაიბეჭდა და გამოვა ივნისის დამლევს.
შინაარსი: — „მრისხანე ბატონი“, „რაინდები“, „დანგრეული ბუდეები“, „შელოცვა ჩადრითი“. 306 გვერდი.
ტომი მეორე: — „იმერი“. დაიბეჭდა და გამოვა ივლისის დამლევს. შინაარსი: „ჟამთა სიავე“, „იმერი“, „თავსაფრიანი დედაკაცი“ და სხვ. გვ. 320.
ტომი მესამე: — „უიალქანოდ“. გამოვა სექტემბერში. შინაარსი: „უიალქანოდ“, „კერიასათვის“. გვ. 300.
ტომი მეოთხე: — „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. გვ. 320.
ხელის მოწერის პირობები: ხელის მოწერა სწარმოებს ოთხივე ტომზე: ხელის მოწერისას შემოტანილი უნდა იქნას 10 მან. რაც ხელის მომწერს ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშში. შემდეგში ხელის მომწერელი გადაიხდის თვითეულ ტომის ნომინალურ ღირებულებას წიგნის ჩაბარებისას.
ხელის მოწერის გარეშე გამოცემა ეღირება უფრო ძვირი. ტირაჟი განსაზღვრულია.

ხელის მოწერა ორივე გამოცემაზე შესწყდება 1 სექტემბერს.

ტირაჟი 6.000
სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.
მთავლიტი № 608.